ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ლეიბორისტები „ბარამბოს“ წინააღმდეგ

ვინ ჩაიგდო ხელში ბათუმის ბულვარი

გვ.2



სამშაბათი, 23 აგვისტო, 2011 | №199 (5579) | ფასი: 30 თეთრი

# რუსთაველის თეატრი ხელისუფლების წინააღმდეგ



გვ.4

## „რობერტ სტურუას მოხსნით ხელისუფლებამ საზოგადოებას ტესტი ჩაუტარა“

გვ.5



## სააკაშვილს შეკითხვებით მიმართავენ

გვ.3



## რატომ და როგორ ყიდის მერია პოლიკლინიკებს?

გვ.3

## რუსეთი „ბორჯომის“ დაბრუნებას ითხოვს



გვ.6

## იუსტიციის სამინისტრო ბიძინა გიორგობიანის ესპანეთიდან ექსტრადირებას ითხოვს



გვ.2



## „კონსერვატორები“ მოითხოვენ, ბიძინა გიორგობიანი საქართველოს არ გადმოსცენ

გვ.2

## სოფიო ხორგუანი: „რას ნიშნავს „მოსავლის აღება“?

გვ.3





## თათარი მხოლოდ არჩევნებზე უნდათ!

გვ.10

## გიორგი ყარყარაშვილი: „ანქვაბი ომში ღირსეულ მოწინააღმდეგედ შევაფასე“

გვ.8






## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.


ISSN 1987-9385

9 771987 938006


**2** არასამთავრობოები „ჯეოსელის“ წინააღმდეგ

**4** „ვურჩევ თვითმარქვია პრეზიდენტს, სტურუას წინაშე ბოდიში მოიხადოს!“

**5** ბესო ზანგური: „თეატრი პროტესტს გააგრძელებს“

**6** კახეთში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს


ლურჯი წითელი ყვითელი შავი

## ვინ ჩაიგდო ხელში ბათუმის ბულვარი

შორენა კოწოწაშვილი

შრომის პარტიაში აცხადებენ, რომ როცა მონოპოლიურ ბიზნესზეა საუბარი, მიხეილ სააკაშვილმა კარგად უნდა გადახედოს თავის მინისტრებს, მაღალჩინოსნებსა და გუბერნატორებს.

— მას შემდეგ, რაც ჩოჩელმა ხელში ჩაიგდო ლუდის ბიზნესი, რკინა-ბეტონის ბიზნესი, მესაქონლეობა, რძე და რძის წარმოება და ა.შ., კულმინაცია იყო „ბარამბოს“ მიერ აჭარის ბულვარის მონოპოლიზაცია. სააკაშვილმა და ჩოჩელის ბანდიტურმა დაჯგუფებამ ჩაატარეს ტენდერი, მოუსპეს სხვა კომპანიებს თავიანთი პროდუქციის აჭარის ბულვარზე გაყიდვის უფლება. ამიტომ იყიდება მხოლოდ „ბარამბოს“ კარცეროგენული პროდუქცია, ანუ ქიმიური შემადგენლობით გაზავებული ნაყინი, რომელიც ჯანმრთელობისთვის ძალიან მავნებელია, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერეციაზე ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ და მოუწოდა საზოგადოებას, პროტესტის ნიშნად არ იყიდონ „ბარამბოს“ პროდუქცია, რათა ქართველი ხალხის ჯანმრთელობაზე ფული არ დააგროვონ და მერე ეს ფული ისევ არჩევნებზე არ გამოიყენონ მოსახლეობის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

რაც შეეხება იმას, თუ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებენ ლეიბორისტები, რომ „ბარამბოს“ პროდუქცია ჯანმრთელობისთვის მავნეა, როგორც კახა ძაგანიამ განმარტა, ამის თაობაზე არაერთი ინფორმაცია გავიდა მასმედიით და არაერთი სტატია დაიბეჭდა პროდუქციის შემოწმების მასალებზე დაყრდნობით.

— შემოწმებული ნაყინების ჩამონათვალში „ბარამბოს“ ნაყინი არცთუ ისე საიმედოდ გამოიყურება. საქართველოშიც კი შესაძლებელია ობიექტურად ჩატარებული შემოწმებით ღიად დაფიქსირება, რომ „ბარამბო“ არის ხელოვნური საშუალებებით შექმნილი პროდუქტი. ეს არის საბაზრო ეკონომიკის პრინციპების პირდაპირი უგულებელყოფა, როდესაც ტენდერს ატარებ კონკრეტულ პროდუქციაზე და ბაზარს უთმობ მხოლოდ ერთ პროდუქციას. თავისუფალი ბაზარი უნდა არეგულირებდეს, თუ რომელ პროდუქციას შეიძენს მომხმარებელი, — აღნიშნა კახა ძაგანიამ.

მისი თქმით, საქართველოში წესად დამკვიდრდა მონოპოლიური ბიზნესის ჩამოყალიბება და მერე ამ ბიზნესიდან შემოსული ფულის „ატკატის“ სახით ხელისუფლების ყულაბაში დაბრუნება.

— ეს არის მარტივი კორუფციული სქემა, რომელსაც ახორციელებს ცეზარ ჩოჩელი პრეზიდენტ სააკაშვილის დახმარებით, — განაცხადა კახა ძაგანიამ.

რაც შეეხება იმას, არიან თუ არა ლეიბორისტები ეროვნული პროდუქციის წინააღმდეგი, შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელი აცხადებს, რომ ხელისუფლება მათ ამ ბრალდებას ვერ წამოუყენებს.

— ამიტომ ვამბობთ, რომ ჩვენ უნდა მივცეთ საშუალება სხვა ეროვნული წარმოების პროდუქტებსაც, შიდა ბაზარზე თავიანთი ადგილი ჰქონდეთ. თვითონ მომხმარებელი უნდა არეგულირებდეს, რომელი პროდუქტი შეიძინოს. ისეთი „ბიზნესმენები“, როგორიც არის ბანდიტი ჩოჩელი, მიუღებელია. ეს ეროვნული ბიზნესი არ არის. ეს არის კორუფციის წყარო. რაც მან გააკეთა ხორცზე, რკინა-ბეტონზე, ყველა ჩარჩოს სცილდება, — აღნიშნა ბოლოს კახა ძაგანიამ.

## ლეიბორისტები „ბარამბოს“ წინააღმდეგ

**ლეიბორისტები მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელის წინააღმდეგ გამოდიან და მას „ბარამბოს“ რეალიზაციის მიზნით აჭარის ბულვარის მონოპოლიზებაში ამხელენ.**



## ბიძინა გიორგობიანს საქართველოში ექსტრადირების შემთხვევაში საფრთხე ემუქრება

ლეიბორისტული პარტია სატყეო დეპარტამენტის ყოფილ უფროსს, ბიძინა გიორგობიანს საქართველოს ხელისუფლების დევნილად მიიჩნევს და ესპანეთს მოუწოდებს, მისი საქართველოში ექსტრადიცია არ მოახდინოს.

პარტიის იდეოლოგიური მდივნის კახაბერ ძაგანიას განცხადებით, გიორგობიანი მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის მიერ არის დევნილი და საქართველოში მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

„მოვუწოდებთ ესპანეთის ხელისუფლებას, არ დაუშვას ბიძინა გიორგობიანის ექსტრადიცია, რადგანაც ამ შემთხვევაში მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დადგება“, — განაცხადა კახაბერ ძაგანიამ.

შეგახსენებთ, რომ ბიძინა გიორგობიანი ესპანეთის პოლიციამ 21 აგვისტოს დააკავა. ის წითელი ცირკულარით იძებნებოდა, რადგან სატყეო დეპატრამენტის ხელმძღვანელად მუშაობის დროს უფლებამოსილების გადამეტებასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ედება ბრალი. აღსანიშნავია, რომ გიორგობიანს გერმანიაში პოლიტიკური თავშესაფარი აქვს.

მედიანიუსი

## იუსტიციის სამინისტრო ბიძინა გიორგობიანის ესპანეთიდან ექსტრადირებას ითხოვს

თბილისი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სატყეო დეპარტამენტის ყოფილი შეფის ბიძინა გიორგობიანის ესპანეთიდან საქართველოში ექსტრადირებას ითხოვს.



როგორც „პირველს“ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განუცხადეს, ქართულმა მხარემ ესპანეთს შესაბამისი განცხადებით უკვე მიმართა.

„საქართველომ გიორგობიანის ექსტრადირება უკვე მოითხოვა. მხოლოდ ეს არის ის, რისი თქმაც ამ ეტაპზე შემიძლია“, — განუცხადა „პირველს“ გენერალური პროკურატურის პრეს-სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ჩაჩუამ.

შეგახსენებთ, რომ ესპანელი სამართალდამცველების მიერ ბიძინა გიორგობიანის დაკავების შესახებ ინფორმაცია გუშინ გავრცელდა. ესპანური მედიის ცნობით, გიორგობიანი ესპანეთის საზღვარზე აიყვანეს.

შეგახსენებთ ასევე, რომ გიორგობიანს ქართველი სამართალდამცავები ინტერპოლის საერთაშორისო ცირკულარით 2006 წლიდან ეძებდნენ, თუმცა გერმანიამ მას პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.

გიორგობიანს სატყეო დეპატრამენტის ხელმძღვანელად მუშაობის დროს უფლებამოსილების გადამეტებასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ედება ბრალი. ქართულმა სასამართლომ ის დამნაშავედ დაუსწრებლად სცნო. თავად გიორგობიანი თავს პოლიტიკურ დევნილად მიიჩნევს.

საქართველომ გიორგობიანზე ძებნა რამდენიმე წლის წინ გამოაცხადა.

პირველი

## არასამთავრობოები „ჯეოსელის“ წინააღმდეგ

არასამთავრობო ორგანიზაცია ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტი„ კომპანია „ჯეოსელის“ წინააღმდეგ კამპანიას გეგმავს.

როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით საქართველოში არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა, „ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტის“ ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას კი მომხმარებელთა ინტერესების დაცვა წარმოადგენს.

„ვთვლით, რომ ცალკეული კომპანიები, მათ შორის ჯეოსელი„ მომხმარებელთა ინტერესებს ხშირად უგულებელყოფს. მაგალითად, ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა, როდესაც მომხმარებელი იძენს კომპანია „ჯეოსელის“ მხრიდან შემოთავაზებულ სტანდარტულ ინტერნეტ-პაკეტს, კომპანია კი, თავის მხრივ, პაკეტის ამოწურვის შესახებ მომხმარებელს ინფორმაციას არ აწვდის და ინტერნეტის შემდგომი მოხმარებისთვის მომხმარებელს სტანდარტულ პაკეტზე რამდენიმე ათეულჯერ მაღალი ტარიფით ბეგრავს. ეს იმ დროს, როდესაც თითოეული აბონენტი „ჯეოსელის“ მხრიდან უმრავლეს შემთხვევაში სხვადასხვა სერვისის შესახებ დღის განმავლობაში უამრავ შეტყობინებას იღებს“, — აცხადებენ „ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტში“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯეოსელს“ მოუწოდებს, უარი თქვას მომხმარებელთა ინტერესების უგულებელყოფაზე და არსებული პოლიტიკა შეცვალოს.

აღნიშნული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში „ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტი“ გეგმავს, წამოიწყოს ფართომასშტაბიანი კამპანია, მათ შორის მიმართოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, რათა მსგავსი ფაქტების გამო „ჯეოსელის“ კეთილსინდისიერი მომხმარებლები სისტემატურად არ ზარალდებოდნენ.

პირველი

## „კონსერვატორები“ მოითხოვენ, ბიძინა გიორგობიანი საქართველოს არ გადმოსცენ

„კონსერვატიული პარტია“ ესპანეთის და გერმანიის მთავრობას მოუწოდებს, ბიძინა გიორგობიანი საქართველოს არ გადმოსცენ.

როგორც პრესკონფერენციაზე „კონსერვატორების“ წარმომადგენელმა ლაშა ჩხარტიშვილმა განაცხადა, გერმანიის და ესპანეთის მთავრობებს სთხოვენ გაითვალისწინონ საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და ბიძინა გიორგობიანი არ ჩაუგდონ ხელში მიხეილ სააკაშვილს.



„პოლიტიკურ ანგარიშსწორებას აგრძელებენ ბიძინა გიორგობიანის მიმართ. მისი დევნის საფუძველია, რომ გიორგობიანმა ვანო მერაბიშვილი და დათა ახალაია კოკოითთან უკანონო ბიზნესპარტნიორობაში ამხილა, რომელიც ხე-ტყის უკანონო ვაჭრობას გულისხმობს. ეს ვერ აპატიეს და წლებია აგრძელებენ გიორგობიანის უკანონო დევნას“, — განაცხადა ჩხარტიშვილმა.

ესპანეთის პოლიციამ საქართველოს სატყეო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი ბიძინა გიორგობიანი 21 აგვისტოს დააკავა.

როგორც ცნობილია, ბიძინა გიორგობიანს ქართველი სამართალდამცავები ინტერპოლის მეშვეობით საერთაშორისო ცირკულარით ეძებდნენ, თუმცა, მას გერმანიამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. გიორგობიანს ბრალი სატყეო დეპატრამენტის ხელმძღვანელად მუშაობის დროს უფლებამოსილების გადამეტებასა და თანამდებობის ბორიტად გამოყენებაში ედება. საქართველომ გიორგობიანზე ძებნა რამდენიმე წლის წინ გამოაცხადა. ქართულმა სასამართლომ მას სასჯელი დაუსწრებლად შეუფარდა. თავად გიორგობიანი თავს პოლიტიკურ დევნილად მიიჩნევს. ჯერჯერობით უცნობია, მოხდება თუ არა საქართველოში მისი ექსტრადირება.

ინტერპრესნიუსი

## მინსკში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

მინსკში რკინიგზის სადგურზე საქართველოს 27 წლის მოქალაქე დააკავეს, — იუწყება საინფორმაციო სააგენტო.

წყაროს ცნობით, მასზე ადამიანის გატაცების გამო საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული. იგი ახალქალაქის მკვიდრია და უმუშევარია. მისი ვინაობა არ კონკრეტდება. ახალგაზრდა სომხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის აპრილიდან იძებნებოდა. ამ დროისათვის დაკავებული საგამოძიებო იზოლატორში არის გადაყვანილი.

მედიანიუსი

## შეწყალების კომისიამ რეკომენდაცია 100-ზე მეტ პატიმარს მისცა

მარიამობის დღესასწაულისთვის 100-ზე მეტ პატიმარს შეიწყალებენ. შესაწყალაბელ პატიმართა სია შეწყალების კომისიამ დღეს პრეზიდენტის სასახლეში, კომისიის სხდომაზე შეადგინა. როგორც კომისიის წევრმა და სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა განაცხადა, 220 მსჯავრდებულის საქმე განიხილეს და აქედან რეკომენდაცია თითქმის ნახევარმა მიიღო, ტუღუშის ცნობით, შეწყალებულთა სიაში მოხვდა 10 ქალი და სამი არასრულწლოვანი. 20-მდე პატიმარს კი სასჯელის განხევრების რეკომენდაცია გაეწია.

„შევეცადეთ საქმეების განხილვისას გაგვეთვალისიწნებინა პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობა, განსაკუთრებული ყურადღებით გავეცანით მძიმე ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრების საქმეებს.

კომისიის კიდევ ერთი წევრის, ნინო კალანდაძის განცხადებით კი, კომისიამ მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებული პატიმრების საქმე არ მიიღო.

მისი თქმით, სასჯელი მხოლოდ წვრილმანი ქურდობისთვის დაკებულებს და შედარებით მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულ პირებს მოეხსნათ, რომელთაც სასჯელის დიდი ნაწილი მოხდილი ჰქონდათ.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ და როგორ ყიდის მერია პოლიკლინიკებს?

**„ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი ვიქტორ დოლიძე თბილისის მერიისგან პოლიკლინიკების პრივატიზაციასთან დაკავშირებით გეგმისა და გრაფიკის სასწრაფოდ წარმოდგენას ითხოვს. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, მერია ჩვეული მეთოდებით აგრძელებს ე.წ. კულუარულ რეფორმებს, ანუ ახორციელებს პირველადი ჯანდაცვის უმთავრესი რგოლის — პოლიკლინიკური ქსელის პრივატიზებას საზოგადოებისთვის აბსოლუტურად უცნობი სქემით.**

ქეთი ხომერიკი

ვიქტორ დოლიძეს აინტერესებს, პრივატიზებული პოლიკლინიკების ქსელი რა პირობებით, რა ფასებში მოემსახურება მოქალაქეებს პირველადი ჯანდაცვის პროგრამებით; როგორი ურთიერთობები ჩამოყალიბდება სადაზღვევო კომპანიასა და პრივატიზებულ პოლიკლინიკურ ქსელს შორის; რა გარანტიები არსებობს პრივატიზებულ პოლიკლინიკებში სამედიცინო პერსონალის დასაქმებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის უცნობია, თუ ვინ ყიდულობს პოლიკლინიკებს, აქვთ თუ არა მათ ამ სფეროს მენეჯმენტის გამოცდილება.

— კატეგორიულად მოვითხოვ მერიისგან, უახლოეს დღეებში წარმოადგინოს პოლიკლინიკური ქსელის პრივატიზების და შემდგომ მისი განვითარების პროგრამა; ასევე პროგრამა იყოს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით, რათა თავიდან იყოს აცილებული მერიის წარმომადგენელთა ტრადიციად ქცეული სიტყვიერი ბუნდოვანი კომენტარები, — განაცხადა ვიქტორ დოლიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

„ახალმა თაობამ" ალასანიას თანაპარტიელს რამდენიმე კითხვით მიმართა.

***— რატომ ახდენს ხელისუფლება პოლიკლინიკური ქსელის პრივატიზებას საზოგადოებისთვის უცნობი სქემით და ვინ შეიძლება ყიდულობდეს ამ პოლიკლინიკებს?***

— ვფიქრობ, რომ ეს უკავშირდება ორ ძირითად პრინციპს. პირველია - არაკომპეტენტურობა, ანუ მათ არ იციან, რა როგორ გააკეთონ და, საერთოდაც, სისტემურად და ინსტიტუციონალურად ჯანდაცვა რომ დანგრეულია, არავისთვისაა ახალი. მეორე, ეს არის პოლიტიკური ნების არარსებობა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანა აეწყოს სწორი სოციალური ჯანდაცვითი გზების მიმართულებით. რაც შეეხება იმას, თუ პრივატიზების შედეგად ვის მიეცემა, როგორ, რა ფორმით, რა პირობებით და რა კრიტერიუმებით გადანაწილდება, ასე ვთქვათ, მყიდველი, მათ შორის სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობა ამ პოლიკლინიკების, აი, ეს ჩემთვის ძალიან საინტერესო თემაა. სწორედ ამიტომ დავსვი საკითხი, რომ წერილობით გაგვაცნონ გეგმა-გრაფიკი ამ პრივატიზაციისა და შემდგომ უკვე ამის განვითარების გეგმა, ანუ როგორ წარმოუდგენიათ, როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფოს და ამ კონკრეტულ შემთხვევაში დედაქალაქის ხელისუფლებას — მერიას მათი მომავალი ბედი.



***— ელით, რომ ამომწურავ და უტყუარ ინფორმაციას მოგაწვდიან, ბატონო ვიქტორ?***

— მოდით, წინასწარ ნუ გავაკეთებთ პროგნოზებს, იმიტომ, რომ მე წინ მაქვს 26 აგვისტოს ბიუროს სხდომა საკრებულოში, შემდგომ უკვე თვითონ საკრებულოს სხდომა, ასევე მინდა ჩემი კომისიის სპეციალური სხდომის გამართვა და მოწვევა შესაბამისი სამსახურების, რათა მოვიდნენ და მოგვაწოდონ ინფორმაცია, ვნახოთ, რას იზამენ. ისე, როგორც წესი, ერთპიროვნული გადაწყვეტილების სისტემა არსებობს აქ და არავის არაფერს ეკითხებიან. არც ბიუჯეტის მონაცემებში ასახავენ ცვლილებების თაობაზე ამგვარ საკითხებს წინასწარ, არავის უთანხმებენ, მაგრამ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, ხელებს ვერ ჩამოვყრით ნამდვილად, იმიტომ, რომ აქ არის საუბარი მედპერსონალის და სხვა ტექნიკური პერსონალის მომავალ დასაქმებაზე. და მაშინ, როდესაც გამუდმებით საუბრობენ სამუშაო ადგილების შექმნაზე, პირიქით ხდება ყველაფერი.

***— როგორც ჩანს, მსგავსი მეთოდებით გეგმავენ სამუშაო ადგილების შექმნას... მაინც რისკენ არის ეს ყველაფერი მიმართული?***

— დიახ, როგორც ჩანს, ასეა. არ ვიცი, ხომ გეუბნებით, ან არ იციან, ან უბრალოდ, უნდათ, რომ გაასხვისონ, ან ვიღაცის ინტერესები შეიძლება იდოს აქ, მაგრამ მე ხომ კონსპირაციების დონეზე ვერ ვიმსჯელებ. სანამ არ მექნება კონკრეტული ინფორმაცია, დოკუმენტი, თუ რა გეგმა აქვთ მას, მეტს ვერაფერს ვიტყვი. ჯერჯერობით, პასუხი არავის გაუცია, მაგრამ ძალიან მაინტერესებს მათი მხრიდან ეს გამოხმაურება.

***— ხელისუფლებამ ამ ზაფხულში უამრავ სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ელექტროენერგიის გადასახადზე დასუფთავების გადასახდელის მიბმას მგზავრობის საფასურის გაზრდა მოჰყვა, შემდეგ არაერთი საავადმყოფო და სკოლა გაიყიდა, ასევე ბაგა-ბაღებში გადასახადი შემოიღეს, რატომ, რა ხდება და რას უნდა ველოდოთ შემოდგომაზე?***

— ფაქტობრივად, აქაც იგივე მიზეზებია — მე ასე მინდა და ვაკეთებ, არავის ვუსმენ. აქ არ არის მხოლოდ ამ სეგმენტებზე საუბარი, რომლებზეც თქვენ საუბრობთ, იგივე ჰოსპიტალური სექტორი ავიღოთ. თუნდაც სამარშრუტო ტაქსების თემა ავიღოთ. თქვენ წარმოიდგინეთ, არათუ არ უსმენენ არავის, არამედ ბიუჯეტის შესახებ ცვლილებები როდესაც შემოვიდა, არ იყო გათვალისწინებული, სამარშრუტო ტაქსებში რამდენს უმატებენ ისინი სოციალურად დაუცველ ფენას, რომ გადაუხადონ მგზავრობის ნახევარი, ასევე არ იყო ბაგა-ბაღებში სოციალურად დაუცველი და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ხალხისთვის ეს გათვალისწინებული. ანუ ძალიან გაუაზრებლად ხორციელდება ეს ე.წ. რეფორმები.

ანალოგიური რომ არ მოხდეს პოლიკლინიკებთან დაკავშირებით, სწორედ ამიტომ ვაფრთხილებთ საზოგადოებას და ხელისუფლებას. ჩვენ არ ვართ ხელისუფლებაში და არ გვაქვს იმის ბერკეტი, რომ შევაჩეროთ ეს პროცესი. სამწუხაროდ, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნდა გავჩერდეთ და არაფერი მოვიმოქმედოთ.




## სოფიო ხორგუანი: „რას ნიშნავს „მოსავლის აღება"?

„ქართული პარტიის" პოლიტსაბჭოს წევრი სოფიო ხორგუანი, პატიმრობაში მყოფი პარტიის აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონული კოორდინატორის, ლევან ტერაშვილისა და მისი ძმის, კახა ტერაშვილის საქმეს დღეს კიდევ ერთხელ გამოეხმაურა.

ხორგუანმა შს სამინისტროს მიერ 23 ივნისს გავრცელებული აუდიოჩანაწერის საპირისპიროდ, სადაც ლევან ტერაშვილი თავის ძმას ეკითხება „დათესეს" თუ არა და კახა ტერაშვილი პასუხობს, რომ „მორჩა თესვას", სიმინდის ყანის ფოტომასალა წარმოადგინა.

მისი თქმით, მან გორის რაიონის სოფელ ჯარიაშენში ტერაშვილების ყანა გუშინ ნახა, სადაც 5 ჰექტარზე ჰიბრიდული სიმინდია დათესილი და მოსავალიც თითქმის უკვე მოწეულია. „შს სამინისტრომ კი განმარტა, რომ „თესვა" ნიშნავს იარაღის დამარხვას", — აღნიშნა მან.



ხორგუანი მიმართავს შს სამინისტროს, გააკეთოს ოფიციალური განმარტება, რას ნიშნავს მათ „ლექსიკონში" „მოსავლის აღება".

ჩვენ დავეხმარებით ოჯახს მოსავლის აღებაში და შესაძლოა რომელიმე ჩვენგანის საუბარი ოჯახის წევრებთან, სადაც ვიკითხავთ აიღეს თუ არა მოსავალი, შს სამინისტროს მიერ გამოიყენებული იქნეს მტკიცებულებად, ამიტომ მივმართავ სამინისტროს, წინასწარ გააკეთოს ამ სიტყვის განმარტება", - განაცხადა მან.

მისივე განცხადებით, „ქართული პარტია" უახლოეს მომავალში სხვა დეტალებსაც წარმოადგენს, რომლითაც დამტკიცდება, რომ პარტიის დაკავებულ წევრებთან დაკავშირებული მტკიცებულებები გაყალბებულია და მხოლოდ პოლიტიკურ დევნას უკავშირდება.

**ინტერპრესნიუსი**

## სააკაშვილს შეკითხვებით მიმართავენ

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი სერგო ჯავახიძე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ერთიანი კავკასიის იდეის შესახებ განცხადებაზე რამდენიმე შეკითხვით მიმართავს.

ლაპარაკია განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, „კავკასია მალე ერთიანი იქნება". სერგო ჯავახიძის მოსაზრებით, მათთვის, ვინც ოდნავ მაინც არის გარკვეული საქართველოსა და მის გარემოცვაში შექმნილ ვითარებასა და საქართველოს მიერ ოფიციალურად დეკლარირებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსში, ეს სიტყვები შემდეგ შეკითხვებს გააჩენდა: „ბატონო პრეზიდენტო, როგორ წარმოგიდგენიათ კავკასიის ამა თუ იმ ფორმით გაერთიანება



მაშინ, როდესაც საქართველო ოფიციალურად მიისწრაფვის დასავლური ღირებულებებისაკენ, სომხეთი-რუსეთისაკენ, ხოლო აზერბაიჯანი დაბალანსებული პოლიტიკისაკენ დასავლეთსა და რუსეთს შორის?. ხომ არ ნიშნავს თქვენი ეს განცხადება იმას, რომ საქართველოსთვის პრიორიტეტული აღარ არის ჩრდილო-ატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანება და სწრაფვა ევროკავშირისაკენ? ხომ არ ნიშნავს თქვენი ეს განცხადება იმას, რომ საქართველო იცვლის საგარეო პოლიტიკის ვექტორს რუსეთის მიმართულებით?" — კითხულობს სერგო ჯავახიძე.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ზემოთხსენებული გამონათქვამის ავტორისაგან ამ შეკითხვებზე განმარტებებს ითხოვს. ორგანიზაცია მიესალმება იმას, თუ პასუხები სააკაშვილის რეჟიმის მიერ საგარეო პოლიტიკის გატარებაში მეზობლებთან, მათ შორის, რუსეთთან, პრაგმატული ხედვის გაჩენას გულისხმობს.

**მედიანიუსი**

## წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრის შენობა იყიდება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საპრივატიზაციოდ შპს „წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100-პროცენტიანი წილი გაიტანა.

სამინისტროს ინფორმაციით, ობიექტი თბილისში, გამსახურდიას გამზირის №24-ში მდებარეობს. მისი დებიტორული დავალიანება 21.017, კრედიტორული კი 5.667 ლარია. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასია 340.000 ლარი. ელექტრონული აუქციონი 25 აგვისტოს გაიმართება.

**მედიანიუსი**

# რუსთაველის თეატრი ხელისუფლების წინააღმდეგ


რობერტ სტურუა

შორენა კოწოწაშვილი

**რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრიდან გაშვება არა მხოლოდ დიდი შეცდომა და სირცხვილია, არამედ დანაშაულებრივი ნაბიჯიც, რადგან საქმე ეხება ეროვნული თეატრიდან თანამედროვეობის გენიოსის გაშვებას, — ამ შინაარსის შეფასებები ისმოდა გუშინ რუსთაველის თეატრის წინ გამართულ აქცია-ბრიფინგზე, რომელიც რუსთაველის თეატრის მსახიობებმა გამართეს.**

ზაფხულისა და საშვებულებო პერიოდის მიუხედავად, რუსთაველის თეატრის დასის წევრებმა მაინც მოახერხეს მობილიზება და 50-ზე მეტმა მსახიობმა მოაწერა ხელი იმ განცხადებას, რომელიც დასმა ხელისუფლების გასაგონად გააკეთა.

მსახიობები აცხადებენ, რომ მათთვის რობერტ სტურუა ისევ სამხატვრო ხელმძღვანელად რჩება. დასის სახელით განცხადება მსახიობმა ზაზა პაპუაშვილმა გააკეთა. მას უცვლელად გთავაზობთ:

„რალა არ განუცდია რუსთაველის თეატრის დასს თავისი არსებობის მანძილზე. ასეთი ერთსულოვანი კი იშვიათად ყოფილა. დღეს ყველა გაოგნებულია. საქმე უფრო ცუდად არის, ვიდრე ჩვენ გვგონია. მაგრამ, რაც უნდა რთულ პერიოდში ვცხოვრობდეთ, არ უნდა დავკარგოთ ადამიანური სახე. ჩვენი ნებისმიერი საქციელი ადექვატური, ვაჟკაცური და პრინციპული უნდა იყოს. ნუთუ ძნელი მისახვედრია, რა ხდება დღევანდელ საქართველოში, ჩვენს სამშობლოში. 2011 წელი, 9 აგვისტო, რობერტ სტურუა აღარ არის რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი — მოხსნეს. რას ნიშნავს ეს? სტურუას სპექტაკლები — გაჯერებული სინათლით, სიკეთით, კაცთმოყვარეობით, სულიერებით, ნიჭიერებით, ხვალის იმედით, მაღალი გემოვნებით, ქვეყნის სიყვარულით, აღარ გვჭირდება? მოძველდა? უარს ვამბობთ ამ ფასეულობებზე? არა, ბატონებო! ეს არ გამოვა. ჩვენთვის რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია“.

განცხადებას ხელს აწერენ: გურამ საღარაძე, კახი კავსაძე, ჯემალ ღაღანიძე, თათული დოლიძე, ზინა კვერენჩხილაძე, თემო ჭიჭინაძე, ზაზა პაპუაშვილი, მურმან ჯინორია, ნანა ფაჩუაშვილი, ზაზა ლებანიძე, მამუკა ლორია, ლევან ბერიკაშვილი, ზურაბ შარია, გოგი ალექსი-მესხიშვილი, ნანუკა ხუსკივაძე, ბელა ახალაია, მარინა კახიანი და სხვები.

გახსნის თუ არა რუსთაველის თეატრი სეზონს? ეს საკითხი ამ ეტაპზე გაურკვეველია.

— როგორ განვითარდება მოვლენები, ვნახოთ. განცხადებაშიც წერია, რომ ვიმოქმედებთ ვაჟკაცურად, პრინციპულად და ადექვატურად. არმომხდარზე და რას რა მოებმება, ამ კითხვებზე პასუხებს მე ვერ გაგცემთ. ჩვენ მოვრჩით! — აღნიშნა ბოლოს ზაზა პაპუაშვილმა.


ზაზა პაპუაშვილი

მისი თქმით, რუსთაველის თეატრის დასი სრული შემადგენლობით მოითხოვს რობერტ სტურუას სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე დაბრუნებას.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, რობერტ სტურუა რუსაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან 9 აგვისტოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკა რურუას განცხადების საფუძვლად გაათავისუფლეს.

როგორც ნიკა რურუამ განაცხადა, რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან მის მიერ გამოთქმული „ეთნიკური მეტაფორების“ გამო გათავისუფლდა.

— სახელმწიფო, რომელიც მოცემულობით არის მულტიეთნიკური და მულტიკულტურული, ვერ შეეგუება და ვერ დააფინანსებს ქსენოფობიას. ქსენოფობიაში იგულისხმება ის გამონათქვამები, ეთნიკური მეტაფორები, რომელთაც სტურუა იყენებდა მრავალრიცხოვანი ინტერვიუების დროს, — განაცხადა მაშინ ნიკა რურუამ.

რა ნაბიჯებს გადადგამს თეატრი, ეს ჯერჯერობით უცნობია. ეს ყველაფერი, როგორც თავად მსახიობებმა მიუთითეს, დამოკიდებულია იმ შემხვედრ ნაბიჯებზე, რასაც ხელისუფლება გადადგამს.

---

რუსთაველის თეატრთან შეკრებილებს შორის იყო პოეტი ჯანსულ ჩარკვიანიც, რომელიც რობერტ სტურუას გათავისუფლებას დიდ ბოროტებას უწოდებს.

**ჯანსულ ჩარკვიანი:**

— როგორც გითხარით, სტურუას გათავისუფლება არის დიდი ბოროტება, მეორეს მხრივ, კიდევ უფრო გაუთქვეს სახელი ამ გენიოს


ჯანსულ ჩარკვიანი

პიროვნებას. ამდენი ამათ არ იციან. ჩვენი ხელისუფლება არის მონების. თავიდან ბოლომდე მონები არიან. უწმინდესს და უნეტარესს ვუთხარი, იცით როდის გვეშველება-მეთქი. როდისო, მითხრა. როცა ეს ჯოგი მრევლად გადაიქცევა-მეთქი. ეკლესიის დასაცავად რომ გამოვიდა, ის ხალხი მრევლი იყო. თუ საქართველოში ჯოგი მრევლად გადაიქცევა, მაშინ საქართველოს ეშველება. თუ არადა, არაფერი გვეშველება.

***— ბატონო ჯანსულ, თქვენი აზრით, რა არის რობერტ სტურუას გათავისუფლების რეალური მიზეზი? სომხების მიმართ დაფიქსირებული პოზიცია?***

— ისეთი ცუდი რა თქვა რობიკო სტურუამ? უბრალოდ თქვა, მე მინდა, ქართველ ხალხს ჰყავდეს ქართველი პრეზიდენტიო. თქვენ როგორ ფიქრობთ, სომეხი ქართველს აირჩევს პრეზიდენტად დღეს? თორემ კარგ სომეხს ვენაცვალე ჯიგარში. აი, გივი შუღაროვი რომაა, ისეთს. აქ ვერაზე, სოლოლაკში გავიზარდე და არ ვიცოდი, სომეხი ვინ იყო. ჩემთვის ყველა ერთი იყო.

***— სტურუას გათავისუფლების გადაწყვეტილება კულტურის მინისტრს ეკუთვნის თუ ეს ხელისუფლების სათავიდან მოდის?***

— რურუამ თავი გაიმართლა, თორემ, რა თქმა უნდა, ეს ზემოდან მოდის. რურუას ვინ ეკითხება ამას. რურუამ ცოტა უკანაც დაიხია. თქვა: მე მაინცდამაინც მომხრე არ ვიყავი, მაგრამ მერე გააგრძელა ის, რაც უნდოდა ეთქვა პრეზიდენტს. სტურუა, რა თქმა უნდა, პრეზიდენტმა მოხსნა.

---

დიმა ჯაიანი რობერტ სტურუას განცხადებებსა და შემოქმედებაში ქსენოფორიულ ელემენტებს გამორიცხავს. მისი ინფორმაციით, სააკაშვილი არამხოლოდ სტურუას გათავისუფლებას ითხოვდა, არამედ მის თავსაც.

**დიმა ჯაიანი:**

— მე მახსენდება 37 წელი, მაგრამ ვერაფრის დიდებით ევრ წარმოვიდგენდი, თუ სტურუასაც შეეხებოდნენ. იმიტომ, რომ ეს არის მარგალიტი. ეს არის გენიოსი. ერთი კაცი, რომელიც მე უდიდეს რეჟისორად მიმაჩნია — თემურ ჩხეიძე, რამდენიმე წელია, უკვე პეტერბურგშია. ამ მარგალიტსაც ვერ მოვუაროთ?! არ შეიძლება. რუსთაველის თეატრი არის სტურუას თეატრი. მთელმა მსოფლიომ ასე იცის. მსოფლიოს გიგანტები ამას ეძახიან სტურუას თეატრს.

***— ეს ყველაფერი ვერ გააცნობიერა ხელისუფლებამ, რომელიც სულ გაიძახის, რომ კულტურის და ხელოვნების ქომაგია?***

— თქვენ როგორ გგონიათ, რატომ ებრძვიან დავით აღმაშენებლის ძეგლებს? ვიღაც იდიოტი რომ გამოიყვანეს ქუთაისში და ათქმევინეს, ჩვენი მოთხოვნით გადაიტანეს აღმაშენებლის ძეგლი იმ მოედნიდანო. მოიძებნება საქართველოში ადამიანი, ან ქუთაისში, მე ქუთაისელები ძალიან მიყვარს, ვისთვისაც აღმაშენებელი და მისი ძეგლი ძვირფასი არ არის?! ის ადამიანიც ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ ეს ათქმევინეს.


დიმა ჯაიანი

***— ბატონო დიმა, ვინ მიიღო გადაწყვეტილება რობერტ სტურუას გათავისუფლებაზე, პრეზიდენტმა სააკაშვილმა თუ მინისტრმა ნიკა რურუამ?***

— მე მაინც მგონია, რომ ალბათ ნიკა რურუა ეწინააღმდეგებოდა. ვფიქრობ, ეს სააკაშვილის გადაწყვეტილებაა. მან არ აპატია, ლაშა ბუღაძის პიესა რომ დაიდგა რუსთაველის თეატრში პრეზიდენტზე რომ იყო სპექტაკლი. აქედან უკვე ცუდად აკრიფა. ის საერთოდ ცუდად კრეფავს. ის ხომ არ არის ნორმალური და ადეკვატური. არაადამიანური აზროვნება აქვს. თვითონ აქვს ნათქვამი პრეზიდენტს: ზანგი ხომ არა ვართო. ამ დროს ობამა არის არათეთრკანიანია ამხელა ქვეყნის პრეზიდენტი. აი ეს არის უბედურება.

***— როგორ შეიძლება გავიგოთ რსუთაველის თეატრი კულტურის მინისტრის გადაწყვეტილებას არ ემორჩილება?***

— დასი აბსოლუტურად არ ემორჩილება. ახლა ისინი დაიწყებენ თეატრის შიგნით ბრძოლას. თითო თითოდ დაუწყებენ ბრძოლას და ადამიანების გამოხშირვას. აი ეს არ უნდა დაუშვან იმიტომ, რომ სტურუაზეა საუბარი. ორჯერ რომ შემომიტიეს, ვერაფერი მიქნეს. მესამედ უკვე ადამიანები წაიყვანეს და პრინციპში გაანახევრეს თეატრი და გამწირეს მეც.

***— სამართლიანია ქსენოფობიის მოტივით სტურუას გატავიოსუფლება, რაც საფუძვლად დაუდო რურუამ რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოხსნას?***

— შეიძლება სააკაშვილი გახდეს რევოლუციის მიზეზი, რაც სტურუას აბსოლუტურად არ უნდა. ეს არის კაცთმოყვარული კაცი. ის კაცთმოძულე კი არ არის. ქსენოფობია მასთან დაკავშირებით როგორ შეიძლება ახსენო. მას უნდა ყველა ერი უყვარდეს. მისი ყველა სპექტაკლი ამით არის გაჯერებული. ის ჩაკეტილი ხელოვანი არ არის. მარტო საქართველოსთვის არ აკეთებს სპექტაკლებს. აი ეს არის მისი სიდიადე. როგორ შეიძლება ქსენოფობია და სტურუა? ეს არის სასაცილო. მან უბრალოდ თქვა: ჩემი პრეზიდენტი მინდა ქართველი იყოსო, მეტი არაფერი.

***— ხელისუფლება ფიქრობს, რომ სტურუას მოხსნით პრობლემებს აიცილებს თავიდან იგივე რუსთაველის თეატრში?***

— არამგონია. რამაზ ჩხიკვაძის გენიალური წერილი წავიკითხე. ეს ბუმბერაზი ადამიანი პირდაპირ აცხადებს: სტურუას გარეშე შეიძლება იყოს რუსთაველის თეატრი, მაგრამ ეს არ იქნება ის თეატრი. ეს თეატრი მოკვდება. სტურუაც ამბობს თავის დღევანდელ ინტერვიუში: ვინც მოიაზრებიან სამხატვრო ხელმძღვანელის ადგილზე, მე ვუბრაზდებოდი დადგმებში რომ მბაძავდნენო. სამივე კანდიდატზე ამბობს: ვეუბნებოდი თქვენი გზა იპოვეთო. თუ ამ სამიდან რომელიმე დაინიშნება, ვურჩევ თავიანთი გზა იპოვონ, მაგრამ ეს რა გზა იქნება, ღმერთმა იცისო.

## „ვურჩევ თვითმარქვია პრეზიდენტს, სტურუას წინაშე ბოდიში მოიხადოს!“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დიდი მაესტრო, რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრიდან იძულებით წასვლასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:



„მეშინია, ქვეყნის დასაცინი არ გავხდეთ, სააკაშვილის ანტიეროვნული რეჟიმის გადაწყვეტილება, რომელიც რამდენიმე დღის წინ იქნა მიღებული, მაშფოთებს და იცით რატომ? — გენიალური რეჟისორის რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლება თვითონ რეჟისორს კი არა, ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, ხაზს ვუსვამ, საქართველოს მოქალაქეებს დაგვაკლდება. დაგვაკლდება მისი შექსპირი, რომელსაც ინგლისელებზე უკეთესად დგამს, დაგვაკლდება მისი ჩეხოვი, რომელსაც რუსებზე უკეთესად დგამს. არა მგონია, დღეს დიდი მაესტრო რობერტ სტურუა ვინმემ შეცვალოს. დიდი მაესტრო, ხომ XX-XXI საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ფასეული საზოგადო მოღვაწეა საქართველოს უახლეს ისტორიაში?!

საოცარია, „ქსენოფობიით შეპყრობილ რეჟისორს“ სიხარულით იწვევს ინგლისის სამეფო თეატრი, რუსეთის ხუთი წამყვანი თეატრალური დასი და კიდევ მრავალი სხვა.

ვფიქრობ, ცოტა სერიოზულად და პრაგმატულად უნდა მივუდგეთ ეროვნულ ფასეულობებს და ამ შემთხვევაში, რობიკო სტურუას ფენომენს. ვურჩევ თვითმარქვია პრეზიდენტს, უკან წაიღოს თავისი არაეროვნული ნიშნების მატარებელი ბრძანება და ბოდიში მოიხადოს ჯერ დიდი მაესტროს წინაშე, შემდეგ საქართველოს მოქალაქეების წინაშე, რამეთუ მტკიცედ მწამს, რომ ეს გადაწყვეტილება ერთნაირად დააზარალებს საქართველოს „მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ“ საზოგადოებას“.

**მედიანიუსი**

ნონა ცაბა ე

# „რობერტ სტურუას მოხსნით ხელისუფლებამ საზოგადოებას ტესტი ჩაუტარა“

**ბოლო დროს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი აფასებს.**

***— ბატონო ირაკლი, რობერტ სტურუას თემით დავიწყოთ. ორიოდე დღის წინ ექსპერტებმა გააკეთეთ შეფასებები მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, თუმცა ამ საკითხზე არაფერი თქმულა.***

— ხელისუფლებამ ძალიან ადრე დაიწყო არჩევნებისთვის და მომავალში ძალაუფლების გარანტირებისთვის მუშაობა. ზაფხული არის დრო იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ყველა დისკომფორტი მოიცილოს და მაქსიმალურად გასუფთავებული მოცემულობით დაიწყოს საშემოდგომო პოლიტიკური პროცესები. ამ ზაფხულშიც ჩვენმა ხელისუფლებამ არაერთი მორიგი „საარჩევნო დაპირება“ შეგვისრულა. იქით დევნილები გამოასახლეს, იქით გააძვირეს ტრანსპორტი, მოახდინეს ტრანსპორტის მონოპოლიზაცია, იქით ეკლესიას შეებრძოლნენ, ჟურნალისტებს შეებრძოლნენ და ასე შემდეგ. რობერტ სტურუასა და ეკლესიის მიმართ ხელისუფლებას აქვს დაზვერვის და სიტუაციის მოსინჯვის ტაქტიკა.

***— რას გულისხმობთ?***

— ეკლესიის წინააღმდეგ გაიბრძოლეს, დააკვირდნენ სიტუაციას, ხალხი რეაქციას მოახდენდა თუ არა ამ თავდასხმაზე, თუ საზოგადოება რეაქციას არ მოახდენდა, მაშინ გაგრძელდებოდა ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა. იგივე იყო ჟურნალისტების მიმართ. დაინახეს, რომ წინააღმდეგობა იყო, გარკვეულწილად უკან დაიხიეს. რობერტ სტურუასთანაც იგივე პროცესთან გვაქვს საქმე, თუ ისინი რეალურ წინააღმდეგობას დაინახავენ, დარწმუნებული ვარ, რომ შეეშინდებათ და რიგ შემთხვევაში უკანაც დაიხევენ. ამ მოდელით ხელისუფლება ცდილობს დაინახოს და ერთგვარად გააკეთოს სია, ვინ არის მომავალში ჩასარეცხი და ვინ გაიზიარებს ამ ბედს. როდესაც ეკლესიის წინააღმდეგ ეს კანონპროექტი მიიღებოდა, მაშინ სააკაშვილმა ტესტი ჩაუტარა საკუთარ დეპუტატებს და დააკვირდა, ვინ იყო უსიტყვოდ წამსვლელი ყველაფერზე, მათ შორის, დედა ეკლესიის წინააღმდეგ. ზოგიერთმა დეპუტატმა თავი შეიკავა და არ მისცა ხმა იმ ავადსახსენებელ კანონპროექტს. დღესაც იგივე ტესტია რობერტ სტურუას მიმართ. რობერტ სტურუა რომ მიხეილ სააკაშვილს გულზე არ ეხატება, ეს ყველამ კარგად ვიცით.

***— ითქვა, რომ ეს სააკაშვილის მხრიდან პირადი ანგარიშსწორება იყო.***

— რა თქმა უნდა. ნებისმიერი ავტორიტეტი მიშა სააკაშვილისთვის არის საფრთხის მატარებელი. ის, როგორც ვირუსს, ისე აღიქვამს ნებისმიერ ჭკვიან, გონიერ, ავტორიტეტულ და წარმატებულ ადამიანს. მიშა სააკაშვილის დევიზია — ყველა ჩემ ქვემოთ! და ყველა ჩემთვის! და ამ დევიზში ვერ ჩაჯდებოდა ისეთი გენიოსი, როგორიც რობერტ სტურუაა, რომელსაც აბრალებენ ქსენოფობიურ განწყობებს თუ დამოკიდებულებას, რაც წარმოუდგენელია. წარმოუდგენელია, ასეთი რამ დააბრალო კაცს, რომელიც თავისი შემოქმედებით არის ლიბერალი და რომლის შემოქმედება ემსახურება ტოლერანტობას. ჩვენმა ერთ-ერთმა საზოგადო მოღვაწემ თქვა, რომ შეიძლება არსებობდეს ექსმინისტრი, ექსპრეზიდენტი, მაგრამ არ შეიძლება იყო ექსგენიოსი. გენიოსი გენიოსია და სწორედ ამ უკვდავობას ვერ იტანს სააკაშვილი, იმიტომ, რომ მხოლოდ მას სურს, რომ იყოს უკვდავი. რობერტ სტურუას აქედან მიუდგნენ, იქიდან მიუდგნენ, თავისი ნებით არ წავიდა, პირი არ დაკეტა და ყველანაირად ეცადნენ, რომ რაიმე საბაბი გამოეძებნათ. მათი ჭკუით, ასეთი საბაბი იპოვეს და ეს ბუმბერაზი და გენიოსი ადამიანი გაათავისუფლეს.

ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, ტესტი სხვა არის. ტესტი არის ის, რა რეაქცია ექნება ამას თუნდაც თეატრალურ საზოგადოებაში, რა რეაქცია ექნება ამას საზოგადოების მხრიდან და რა რეაქცია ექნება ამას ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებში.



***— მას ასეთი მხარდამჭერი ბევრი ჰყავს.***

— ყველა ადამიანში ჩადებულია მორალური კოდი, რომლითაც ჩვენ ვანსხვავებთ კარგს და ცუდს და ქართულ ენაში ამას სინდისნამუსს ვეძახით. ეს სინდის-ნამუსი ყველაშია და არ გეგონოთ, რომ იმ მომღერალს, რომელიც მის დაკრულზე თამაშობს, არ აწუხებდეს ის, რომ ის თამაშობს მოძალადე დიქტატორი პრეზიდენტის საამებლად. მას ეს აწუხებს. ამიტომ, როდესაც ყველაფერი მკაფიოდ გამოჩნდება და ეს უკვე ჩანს, საზოგადოებამ უნდა გააკეთოს არჩევანი. მათ შორის, იმ მომღერალმა, იმ კონფორმისტმა, იმ პოლიტიკურმა ძალებმა, რომელთაც სკამის და კომფორტის გამო ურჩევნიათ დღეს დიქტატორის და მოძალადის სპექტაკლში მიიღონ მონაწილეობა.

***— დღეს რუსთაველის თეატრის დასის უმრავლესობა რობერტ სტურუას მხარდამჭერია. თუმცა შეიძლება იყვნენ ისეთებიც, ვინც გვერდზე გადგებიან.***

— მძიმე ქვის აწევა ყველას შეუძლია, უმრავლესობას მაინც. მთავარია, ამ ქვას ხელში რომ დაიჭერ, რამდენი ხანი შეძლებ მის ჭერას. ჩვენ შეგვიძლია, რაღაც მომენტში გამოვიჩინოთ ერთსულოვნება, ერთმანეთს გვერდში დავუდგეთ, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივებში ვმარცხდებით ხოლმე. იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ პასუხისმგებლობას ბოლომდე ვერ ვიღებთ და ბოლომდე არ ვდგავართ ჩვენი პრინციპების და ღირებულებების დასაცავად. იგივე სიტუაცია იქნება თეატრში. ხელისუფლება, როგორც წესი, როცა ჩაიდენს ხოლმე მორიგ იდიოტურ დანაშაულს, მერე დაიმალება ხოლმე, რომ პროტესტი თავისთავად გაქრეს. მას შემდეგ, რაც ეს პროტესტი ქრება, ზოგიერთი ადამიანი კვლავაც თვლის, რომ მოსახდენი მოხდა, რა ვქნა, მეც ხომ არ დავრჩები მშიერიო და კვლავაც დგება ხელისუფლების სამსახურში.

***— გამოსავალს თუ ხედავთ?***

— გამოსავალი არის ერთადერთი — პირველ რიგში, ნაციონალური მოძრაობის ძალით მხარდამჭერმა უნდა შეიგნოს, რომ ის ამ ნაბიჯით საკუთარ ქვეყანას ებრძვის და არა საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობს. თუ საკუთარ ქვეყანას ებრძვი, შანსი არაა, რომ შენ თავი კარგად იგრძნო. შეიძლება რაღაც მომენტში გსიამოვნებდეს ეს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში შენ ისეთივე მორიგი მსხვერპლი გახდები, როგორიც ახლა სხვაა. უბრალოდ, აქ საუბარია იმაზე, თუ შენ როდის მოგადგებიან და როდის დაგიკაკუნებენ.

***— თქვენ განაცხადეთ, რომ ხელისუფლება არჩევნებისთვის ემზადება და ყველა ცუდ საქმეს ამ ზაფხულს იშორებს. რამდენად წარმატებული იქნება მისი წინასაარჩევნო კამპანია?***

— წინასაარჩევნო კამპანიას ხელისუფლება იმდენ ყურადღებას არ აქცევს, რამდენადაც იმას, რამდენ ფულს დააგროვებს ხელისუფლება, რომ შემდგომ ვინც გაიყიდება, ყველა იყიდოს. თორემ ხელისუფლებამ ჩემზე უკეთ იცის, რა რეიტინგი აქვს. ეს რეიტინგი კიდევ უფრო წავა ქვემოთ, მას შემდეგ, რაც კიდევ უფრო გაშიშვლდება ის ძალადობა, რასაც ხელისუფლება ჩვენი ხალხის წინააღმდეგ ეწევა. ყველაფერი გადასულია იმაზე, რომ ხელისუფლებამ რაც შეიძლება მეტი ფული ამოიღოს მოსახლეობისგან, რომ ამ ფულით არჩევნები იყიდონ. ამაზეა საუბარი, თორემ ხელისუფლება პიარკამპანიებით და ხალხის სიმპათიების მოპოვების გზით რომ არ აპირებს არჩევნებში გამარჯვებას, ეს ცხადია.

***— ფიქრობთ, რომ ისევ წავა ამომრჩევლის ყიდვა?***

— რა თქმა უნდა, ეს უკვე გამზადებული პროცესია. აქ წავა უბრალოდ ყიდვა, ხელისუფლება დაიწყებს ადამიანების ხმების ყიდვას. თითოეულ ხმას თავის ფასი ექნება. იგივე პროცესი წავა პოლიტიკურ პარტიებში, ნუ ელოდებით, რომ დღეს პრინციპზე მდგომი პოლიტიკოსები ამ პრინციპზე დარჩებიან. გადახედეთ მემარჯვენეების პოზიციას და დაინახავთ.

***— გამოსავალი არ არის?***

— მთავარია, ჩვენი საზოოგადოება როგორ შეხედავს სიტუაციას. საშველი აუცილებლად იქნება თუ ჩვენი საზოგადოება პრინციპულად ეტყვის უარს ჩვენი ხელისუფლების ძალადობას და პრინციპულად დადგება.

## თეატრში რადიკალურად განწყობილი ადამიანები არიან

რობერტ სტურუასთან შეთანხმებულები ვართ, რომ თეატრში რეჟისორად დარჩება და ჩვეულებრივად გააგრძელებს მუშაობას, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ რუსთაველის თეატრის მმართველმა, ზაალ ჩიქობავამ განუცხადა და დასძინა, რომ რობერტ სტურუას თანამდებობაზე აღდგენა მმართველის პრეროგატივა არ არის.



ამასთან, როგორც ჩიქობავამ თეატრალური დასის წევრების დღევანდელი განცხადების კომენტირებისას განაცხადა, დასში არიან რადიკალურად და ნაკლებად რადიკალურად განწყობილი ადამიანები.

„შევხვდი ბატონ სტურუასაც და დასის წევრებსაც. ზოგს რადიკალური პოზიცია აქვს, ზოგს — ნაკელბად. ბუნებრივია, ამდენი წლის თანამშრომლობის შემდეგ ისინი მსგავს განწყობას გამოხატავდნენ. კულტურის მინისტრმაც თქვა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ ყოფილა“, — აღნიშნა ჩიქობავამ.

რობერტ სტურუა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. 9 აგვისტოს გამოცემულ ბრძანებას ხელს აწერს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკა რურუა.

ამასთან, ნიკა რურუამ განაცხადა, რომ რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან მის მიერ გამოთქმული “ეთნიკური მეტაფორების“ გამო გათავისუფლდა.

„სახელმწიფო, რომელიც მოცემულობით არის მულტიეთნიკური და მულტიკულტურული, ვერ შეეგუება და ვერ დააფინანსებს ქსენოფობიას. ქსენოფობიაში იგულისხმება ის გამონათქვამები, ეთნიკური მეტაფორები, რომელსაც სტურუა იყენებდა მრავალრიცხოვანი ინტერვიუების დროს“, — განაცხადა ნიკა რურუამ.ანგარიშსწორება.

**ინტერპრესნიუსი**

## თემიკო ჭიჭინაძე: „რუსთაველის თეატრის ფასეულობებს დარტყმა მიაყენეს“



რობერტ სტურუას გათავისუფლებით დარტყმა მიადგა არა მხოლოდ ქართულ თეატრს, მთლიანად — ქართულ კულტურას. ამგვარი პოზიცია დააფიქსირეს რუსთაველის თეატრთან დღეს შეკრებილმა მსახიობებმა.

მსახიობ ზაზა პაპუაშვილის შეფასებით, რუსთაველის თეატრის უკან სხვა თეატრები და მთლიანად ქართული კულტურა დგას.

„ჩვენ რობერტ სტურუას მოხსნას კი არ ვაპროტესტებთ, საუბარია იმაზე, რომ ჩვენი თეატრის უკან დგანან სხვა თეატრებიც, დგას მთლიანად ქართული კულტურა და საუბარია თაობების ბედზე“, — განაცხადა ზაზა პაპუაშვილმა.

მსახიობ თემიკო ჭიჭინაძის განცხადებით კი, სტურუას გათავისუფლებით რუსთაველის თეატრის ფასეულობებს დარტყმა მიაყენეს.

„ჩვენ საუბარი არ გვაქვს რობერტ სტურუასთვის ამა თუ იმ პოსტის შენარჩუნებაზე. გარწმუნებთ, რომ პირადად მისთვის პოსტი არაფერს არ ნიშნავს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს არის პირდაპირი დარტყმა რუსთაველის თეატრზე, მის ტრადიციებზე, დანიშნულებაზე და იმ ფასეულობებზე, რომელთა დასაცავადაც ჩვენ თეატრს სისხლი აქვს გაღებული“, — განაცხადა მსახიობმა თემიკო ჭიჭინაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## ბესო ზანგური: „თეატრი პროტესტს გააგრძელებს“

**რუსთაველის თეატრი გააგრძელებს პროტესტს იმ დრომდე, ვიდრე ხელისუფლება რობერტ სტურუაზე არ იტყვის - „ჰო!". ეს განცხადება რუსთაველის თეატრის მსახიობმა ბესო ზანგურმა გააკეთა.**

„ჩვენ ვაგრძელებთ პროტესტს, ვიდრე ხელისუფლება რობერტ სტურუაზე არ იტყვის „ჰო!“-ს. მე დარწმუნებული ვარ, რომ რობერტ სტურუა დარჩება რუსთაველის თეატრში სამუშაოდ. შესაძლოა, ეს არ იყოს სამხატვო ხელმძღვანელი, მაგრამ გააგრძელებს სპექტაკლების დადგმას“, — განაცხადა მსახიობმა.

მისივე თქმით, თუ სტურუა საერთოდ დატოვებს თეატრს, რუსთაველის თეატრიდან თავადაც წავა, ხოლო თუ რობერტ სტურუა გააგრძელებს სპექტაკლების დადგმას, დარჩება თეატრში სამუშაოდ.



„როგორც ვიცი, რობერტ სტურუას აქვს უამრავი შემოთავაზება არგენტინიდან, საბერძნეთიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. თუმცა, რატომღაც აქცენტი კეთდება რუსეთიდან წამოსულ შემოთავაზებებზე“, — განაცხადა ბესო ზანგურმა.

მისივე შეფასებით, სტურუას გათავისუფლება რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან არის რეჟისორის მიმართ პრეზიდენტის პირდაპირი ანგარიშსწორება.

„მე დარწმუნებული ვარ, რომ კულტურის მინისტრი ნიკა რურუა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი იქნებოდა, მაგრამ ის ადამიანი, ვინც მას მართავს, ანუ პრეზიდენტი, არის სრულიად უმართავი. არ არის გამორიცხული, რომ თავად ის მოვიდეს თეატრში და სამხატვრო ხელმძღვანელად დაგვიჯდეს“, — განაცხადა ბესო ზანგურმა.

მსახიობის ინფორმაციით, თანამდებობაზე რჩება თეატრის მმართველი ზაალ ჩიქობავა. „თუმცა, მე ამ ადამიანს ვერ გავამტყუნებ, ვინაიდან როდესაც ასეთ თანამდებობას თანხმდები, გესმის, რა შეიძლება შენგან მოითხოვონ; ამავდროულად მის უკან დგას მისი ოჯახი, უამრავი ადამიანი, რომელსაც ვერ გაწირავ“, — განაცხადა ბესო ზანგურმა.

**ინტერპრესნიუსი**

# რუსეთი „ბორჯომის“ დაბრუნებას ითხოვს

**ხუთწლიანი პაუზის შემდეგ რუსეთი პოზიციებს თმობს და მზადაა, საკუთარ ბაზარზე ქართული „ბორჯომი“ დააბრუნოს.**



შორენა გონგლაძე

— რუსეთი მზად არის გამართოს მოლაპარაკებები, რათა ქართული „ბორჯომი“ რუსულ ბაზარს დაუბრუნდეს, — ამის შესახებ რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშენკომ განაცხადა.

რუსეთის მთავარი სანიტარი გენადი ონიშენკო აცხადებს, რომ დროა „ბორჯომის“ თემაზე საუბარი პოლიტიკურიდან ტექნიკურ რაკურსში გადავიდეს და ქართული წყლის რუსეთის ბაზარზე დასაბრუნებლად უშუალოდ მინერალური წყლის მწარმოებლებს იწვევს მოსალაპარაკებლად. ამის შესახებ ონიშენკომ რადიო „ეხო მოსკვის“ ეთერში განაცხადა. ონიშენკოს თქმით, ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ნარჩენებმა, რომელიც ამ დროისათვის საქართველოსგანაა დარჩენილი, უეცრად დაიწყო წამოყვირება ხელისუფლების დონეზე, ეს რა ხელისუფლებაა, რომელიც არ უშვებს თავის მწარმოებლებს, შევიდნენ რუსეთის ბაზარზე და ივაჭრონ.

მისივე თქმით, რუსეთის პოზიცია ასეთია, ისინი შეხვდებიან ყველას, ვისაც სურს რუსეთის ბაზარზე შესვლა, მაგრამ საკმარისია პოლიტიკური რაკურსით ამ თემაზე საუბარი, რეალური მუშაობისთვის ტექნიკურ საკითხებზე გადასვლაა საჭირო.

ბუნებრივია, ონიშენკოს ამ განცხადების უკან რუსეთის პოლიტიკური ინტერესები დგას, ეს ინტერესები კი რუსეთის ვმო-ში გაწევრიანებას უკავშირდება. ეკონომიკურ ომში გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს ეკუთვნის. სავარაუდოდ, ამ საკითხზე ორმხრივი მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება. თუმცა, არც იმისი დავიწყება შეიძლება, თუ რა ამბით დაატოვებინეს რუსეთის ბაზარი ქართულ ღვინოს და შემდგომ მინერალურ წყალს.

2006 წელს რუსეთის ბაზარი ქართული ღვინისთვის ჩაიკეტა, ზუსტად ერთი თვის შემდეგ რუსეთის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურმა განაცხადა, რომ „ბორჯომზე“ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნების გაცემა შეწყდა, მოტივად კი მისი სტანდარტებთან შეუსაბამობა დასახელდა. აი რას წერს გენადი ონიშენკო წერილში, რომელიც 2006 წლის 4 მაისს რუსეთის საბაჟო სამსახურს გაუგზავნა.

— ამ არც ისე ადვილი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა ის, რომ ბოლო კვირების განმავლობაში რეგიონებსა და განაკუთრებით მოსკოვში ჩატარებულმა შემოწმებებმა აჩვენა, რომ იმ წყლებს შორის, რომელიც მომხმარებლებისათვის წარმოდგენილია როგორც „ბორჯომის წყლები“, ჩვენ პროცენტულად დიდი შეუსაბამობა აღმოვაჩინეთ ამ წყლების თვისებებთან. მინერალური წყლის 69 ნიმუშიდან, რომელიც მოსკოვის რეგიონში აპრილში შემოწმდა, 68 სტანდარტს არ შეესაბამება.

ძალიან მალე რუსეთმა კუთილი რჩევა მისცა ბელარუსსა და ყაზახეთს და სთხოვა, არ დაეშვათ რუსეთის ტერიტორიაზე ქართული ღვინოებისა და მინერალური წყლების შეტანა.

— ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბელარუსსა და ყაზახეთს ჩვენს ნებას ვახვევთ და ვზღუდავთ მათ უფლებებს გამოიყენონ ეს პროდუქცია, მაგრამ ჩვენ გვაქვს უფლება მოვითხოვოთ ამომწურავი ზომების მიღება რუსეთის ტერიტორიაზე ამ პროდუქციის არდაშვების თაობაზე და ჩვენ გამოვიყენეთ ეს უფლება, — განაცხადა ონიშენკომ.

ბუნებრივია, რუსული ბაზრის დაკარგვა ქართული კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ზარალი იყო, კომპანიის მთლიანი პროდუქციის 50 პროცენტი რუსეთის ბაზარზე გადიოდა. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2005 წელს „ბორჯომის“ მწარმოებელმა საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ რუსეთში 22,1 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ბორჯომი შეიტანა, ხოლო 2006 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში 7,7 აშშ დოლარის ღირებულების ექსპორტი განახორციელა.

# საუკეთესო შედეგების მქონე პედაგოგები დასაჩუქრდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ის ათი პედაგოგი დაასაჩუქრა, რომელთაც 2011 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდებზე თავიანთ საგნებში საუკეთესო შედეგები აჩვენეს, მინისტრმა მათ პორტატული კომპიუტერები გადასცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ განათლების სამინისტროდან აცნობეს, წარმატებით დასრულდა 2011 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდები. გასულ წელთან შედარებით, წელს ორჯერ მეტი — 2500 პედაგოგი აიღებს სერტიფიკატს. შარშან სერტიფიკატი 1200-მა პედაგოგმა მოიპოვა.



სასერტიფიკაციო გამოცდები ნებაყოფლობითია, მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ სურვილისამებრ ჩააბარონ ერთი ან ორივე გამოცდა. სწორედ ამიტომ პედაგოგთა დიდი რაოდენობა წელს ერთ გამოცდაზე გავიდა, 5000-მა მასწავლებელმა წარმატებით გადალახა პროფესიული უნარების გამოცდის ბარიერი, ხოლო 4000-მა — საგნობრივის.

მათ აღნიშნული შედეგები მომავალი წლისთვის შეენახებათ და 2012 წელს მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ. ამ დინამიკით, 2014 წლისთვის, სანამ პედაგოგთა გამოცდები ნებაყოფლობითია, მასწავლებელთა 60% უკვე გახდება სერტიფიცირებული.

სერტიფიცირებული მასწავლებლები ხელფასზე დანამატს — 75 ლარს იღებენ. იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგი კომპიუტერისა და ინგლისური ენის გამოცდასაც ჩააბარებს, მისი დანამატი 200 ლარამდე იზრდება. ხოლო ორივე გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში,

თუ სერტიფიცირებული მასწავლებელი საუკეთესო მაჩვენებლების მქონე 25%-ში მოხვდება, მისი ფიქსირებული ხელფასი 1000 ლარი ხდება.

სერტიფიცირებულ მასწავლებლებს ასევე აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ მენტორ მასწავლებლად, ჩაერთონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში და სამინისტროს მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროგრამებში, რაც ასევე დამატებით ანაზღაურებას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

# „საქართველოს ბანკმა“ „ოქროს საწმისის“ მშენებლობა 2 მილიონი აშშ დოლარის სესხით დააფინანსა

„საქართველოს ბანკმა“ ანაკლიაში სასტუმრო „ოქროს საწმისის“ მშენებლობა 2 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის სესხით დააფინანსა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბანკის პრესსასმახურიდან აცნობეს, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში „საქართველოს ბანკმა“ არაერთი სასტუმროს მშენებლობა დააფინანსა საქართველოში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ ბიზნესის განვითარებაში.

სასტუმრო „ოქროს საწმისი“ მდებარეობს ანაკლიაში და წარმოადგენს საერთაშორისო დონის 5-ვარსკვლავიან სასტუმროს.

„ოქროს საწმისს“ 105 სასტუმრო ოთახი ექნება და საერთაშორისო კლასის სასტუმროსათვის საჭირო ინფრასტრუქტურით აღიჭურვება.

სასტუმროს მთლიანი ტერიტორია 15,200 კვ.მ-ია. „ოქროს საწმისში“ 60-მდე ადამიანი დასაქმდა. სასტუმრო გამიზნულია, როგორც დასვენების, ისე საქმიანი ვიზიტით ჩამოსული სტუმრებისთვის.

**ინტერპრესნიუსი**

# 25 ოჯახი საკუთარ სახლში კიდევ რამდენიმე დღე ვერ შევა

ლაგოდეხში 25 ოჯახი საკუთარ სახლში კიდევ რამდენიმე დღე ვერ შევა.

საერთო საცხოვრებლის მდგრადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მოვარდნილმა ღვარცოფმა სახლის საძირკველი მნიშვნელოვნად დააზიანა, ამიტომ სპეციალისტებს ელოდებიან. ისინი კორპუსის მდგრადობას სპეციალური მოწყობილობის საშუალებით შეამოწმებენ.

როგორც რადიო „ჰერეთს“ ლაგოდეხის გამგებელმა დიმიტრი ლოლაძემ განუცხადა, შემდგომში სიტუაციის შესაძლო გართულების თავიდან ასაცილებლად კორპუსის მდგრადობას ახლავე შეამოწმებენ. რაც შეეხება კომუნიკაციებს, მისი მონტაჟი დღეიდან დაიწყება.

მანამდე კი ვიდრე 25 ოჯახს საკუთარ საცხოვრებელში შესვლის ნებართვას მისცემენ, ისინი ნათესავებს აფარებენ თავს, მათგან სამი ოჯახი სასტუმროში ცხოვრობს. ხარჯებს ადგილობრივი გამგეობა დაფარავს.

20 აგვისტოს, ღამით მოსულმა წვიმამ, ლაგოდეხის რაიონი გარესამყაროს მოწყვიტა.

დაზარალდა თითქმის ყველა სოფელი. ადიდებული მდინარეები მოსახლეობას სახლებში შეუვარდა, რის გამოც ხალხის ევაკუაცია გახდა საჭირო. დაზარალებულია ათასობით ოჯახი.

**ინტერპრესნიუსი**

# ნაბეღლავის ჰესის მშენებლობით კომპანია „ალიანს ენერჯი“ დაინტერესდა

ნაბეღლავის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული ჰესი მდინარე გუბაზეულზე უნდა აშენდეს. შესაბამისი პროექტით დაინტერესებულ პირებს თავიანთი განაცხადების წარდგენა ენერგეტიკის სამინისტროში 16 სექტემბრის ჩათვლით შეეძლებათ.

ამ დროისათვის დაინტერესება სააქციო საზოგადოება „ალიანს ენერჯიმ“ გამოხატა. მან ჰესის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების მიზნით სამინისტროში განაცხადი უკვე შეიტანა.

**მედიანიუსი**

# კახეთში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს.



— ზაქათალის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსებიდან 70-მდე ოჯახი ისევ ევაკუირებულია. ბევრ მათგანს სხვა ბინაც ჰქონდა და ღამე იქ გაათია, რამდენიმე ოჯახმა თავი ნათესავებს შეაფარა. მაშველებმა სარდაფებიდან წყლის ნაწილი უკვე ამოტუმბეს, ნაწილს ახლა ტუმბავენ. დღეს ან ხვალ სპეციალისტები სახლების მდგრადობას შეამოწმებენ და თუ ყველაფერი წესრიგში იყო, მოსახლეობა 3-4 დღეში დაუბრუნდება თავიაანთ სახლებს. ზარალი სხვა სოფლებშიც არის და კომისია მუშაობს, რომ ზუსტი მონაცემები გვქონდეს. რაიონს ელექტროენერგიის მიწოდება დღის ბოლომდე აღუდგება. ბუნებრივი აირზე ჯერ ვერ გეტყვით. მდინარემ გუშინ მილები გაგლიჯა და სამუშაოებია ჩასატარებელი, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გია გოზალიშვილმა.

ლაგოდეხის რაიონში სტიქია გუშინ დილიდან გვიან ღამემდე მძვინვარებდა. ადიდებული მდინარე შრომის ხევიდან გადმოვარდნილი წყალი პირდაპირ საცხოვრებელი კორპუსების ეზოში მიედინებოდა და შენობებს დანგრევის საფრთხეს უქმნიდა. წყალმა კორპუსების ეზოდან 8 ავტოფარეხი წაიღო. მთლიანად დაანგრია რესტორანი ნაძვები„.

საცხოვრებელი სახლები, გზები და საკარმიდამო ნაკვეთები დაიტბორა ლაგოდეხის რაიონის სოფლებშიც, დაიხოცა შინაური ფრინველი და პირუტყვი. კაბალში 80-მდე ოჯახს სახლების დატოვება მოუხდა. ისინი სახლებს გვიან ღამით დაუბრუნდნენ, როცა მდინარე კაბლის ხევის კალაპოტში წყლის დონემ მნიშვნელოვნად დაიკლო. ადიდებულმა ხევმა ლაგოდეხის საბაჟო-გამშვებ პუნქტთან რამდენიმე მეტრში საქართველო-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი გზის ნაწილი წაიღო.

გზაზე მანქანების მოძრაობა მხოლოდ ერთი მიმართულებით არის შესაძლებელი, რის გამოც საზღვრის გადაკვეთისას შეფერხებებია.

სტიქიის შედეგად საგარეჯოს სოფლებში სასმელი წყლის სათავე ნაგებობები განადგურდა.

სტიქიის შედეგად საგარეჯოს რაიონის სოფლებში შიბლიანში, ყანდაურაში, ბადიაურსა და ბოგდანოვკაში სასმელი წყლის სათავე ნაგებობები და ქსელი მთლიანად განადგურდა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა, გია ჩალათაშვილმა განუცხადა, აღნიშნულ სოფლებში განადგურებულია შიდა საუბნო გზებიც, სოფლები სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი.

**ინტერპრესნიუსი**

# ისნის ნაწილს ხვალ ელექტრომომარაგება შეეზღუდება

ისნის რაიონის ნაწილს, სარემონტო სამუშაოების გამო, ხვალ ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სააქციო საზოგადოება „თელასიდან“ აცნობეს, სარემონტო სამუშაოების გამო, ისნის რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება 23 აგვისტოს, 10:00-დან 16:00 საათამდე, დროებით შეეზღუდება.

შეზღუდვა შეეხება მოსკოვის გამზირის, სამრეწველო დასახლების, ჩოლოყაშვილის, ბოგდან ხმელნიცკის და წულაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, აბონენტებს ელექტრომომარაგება სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე აღუდგებათ.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს დელეგაცია აფრიკული წარმომავლობის ხალხთა სამიტს დაესწრო

საქართველოს დელეგაცია, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ჯალაღანიას ხელმძღვანელობით, მონაწილეობდა აფრიკული წარმომავლობის ხალხთა სამიტში ჰონდურასის ქალაქ ლა სეიბაში. საქართველოს დელეგაციაში შედიოდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ყველაშვილი და მექსიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოს მრჩეველი გვარამ ხანდამიშვილი.

როგორც „მედიანიუსს“ საგარეონ უწყებიდან აცნობეს, ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა ღონისძიების მონაწილეებს და უსურვა წარმატება უფრო კონსოლიდირებული, ღირსეული და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებზე დამყარებული საზოგადოების მშენებლობაში.

ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს დელეგაციამ პოლიტიკური კონსულტაციები გამართა ჰონდურასის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. ჰონდურასის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მინისტრის მოადგილე ალდენ რივერა და პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი რობერტო ოჩოა მადრიდი.

კონსულტაციების ფარგლებში განიხილეს ორმხრივი ურთიერთობების ფართო სპექტრი და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები, კერძოდ, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავება, სამართლებრივი ბაზის განმტკიცება და ვაჭრობის გაფართოება. აგრეთვე, მხარეები შეთანხმდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში მჭიდრო თანამშრომლობაზე.

ჰონდურასის მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა. ქართულმა მხარემ მადლობა გადაუხადა ჰონდურასის მხარეს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე აფხაზეთიდან, საქართველო და სამხრეთ ოსეთი?ცხინვალის რეგიონიდან, საქართველო ადილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ წარდგენილი რეზოლუციის მხარდაჭერისათვის.

**მედიანიუსი**

## ქართველი დეპუტატები ლიტვის გამოცდილებას გაეცნენ



პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზის თანამედროვე ტექნიკური აღჭურვისა და სხდომების ტელე-რადიო ტრანსლაციის კუთხით საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ლიტვის სეიმის გამოცდილებას გაეცნო.

სწორედ ამ მიზნით პარლამენტის დელეგაცია, მიხეილ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით, ლიტვის სეიმსს გასულ კვირას სტუმრობდა, სადაც დეტალურად გაეცნენ, თუ როგორ მუშაობს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი პლენარულ სხდომათა დარბაზში ხმის მიცემისა და გახმოვანების სისტემა, ასევე როგორ ხდება სხდომების ტრანსლაცია.

აღნიშნული საკითხებით ქართველი პარლამენტარებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა დაინტერესება პარლამენტის ქუთაისში გადატანას უკავშირდება, სადაც შენობის უახლესი ტექნიკით აღჭურვაა დაგეგმილი.

გარდა ამისა, მიხეილ მაჭავარიანმა შეხვედრები ლიტვის სეიმის ვიცე-სპიკერებთან ვირგინია ბალტრაიტენესა და ჩესლოვას იურშენასთან გამართა, ასევე ლიტვის სეიმში საქართველოს მეგობრობის ჯგუფის წევრებს შეხვდა.

შეხვედრებზე მასპინძლებმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოსადმი თანადგომა.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი და პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილე იოსებ იაკობაშვილი, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე და გენერალური დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში გიორგი ბარათაშვილი.

**პირველი**

## უახლოეს დღეებში საქართველოს ზოგ რაიონში ხანმოკლე წვიმაა ნავარაუდევი

უახლოესი სამი დღის განმავლობაში საქართველოს ზოგიერთ რაიონში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი არის მოსალოდნელი. როგორც „მედიანიუსს“ გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, 25 აგვისტოსათვის ნალექი უფრო აღმოსავლეთ საქართველოში მოვა. 23-25 აგვისტოს დასავლეთ საქართველოს დაბლობში ღამის საშუალო ტემპერატურა 14, 19, დღის X24, 29, მთაში ღამის 10, 15, დღის 23, 28, მაღალ მთაში ღამის 8, 13, ხოლო დღის საშუალო ტემპერატურა 21, 26 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ღამის საშუალო ტემპერატურად 14, 19, დღისად კი 23-24 აგვისტოს 25, 30, ხოლო 25 აგვისტოს 22, 27 გრადუსი სითბო არის მოსალოდნელი.

23-25 აგვისტოს აღმოსავლეთის მთაში ღამით 10, 15, დღისით 22, 27, მაღალ მთაში ღამით 6, 11, ხოლო დღისით 17, 22 გრადუსი სითბო იქნება. რაც შეეხება თბილისს, აქ 23 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში, 24 აგვისტოს ღამით და 25 აგვისტოს შესაძლებელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით.

23 აგვისტოს ღამით ჰაერის საშუალო ტემპერატურა 18, დღის 28, 24 აგვისტოს ღამის საშუალო ტემპერატურა 18, დღის 30, ხოლო 25 აგვისტოს ღამის საშუალო ტემპერატურა 18, დღისა კი 25 გრადუსი სითბო იქნება.

**მედიანიუსი**

## გამოკითხულთა უმრავლესობას კახური იუმორი მოსწონს

15-18 აგვისტოს გამოკითხვის თემას — „საქართველოს რომელი კუთხის იუმორი მოგწონთ ყველაზე მეტად?“ 401 მკითხველი გამოეხმაურა. შედეგები ასე გამოიყურება:

1. კახეთი 93.6%
2. გურია 72.6%
3. იმერეთი 53.8%
4. სვანეთი 38.9%
5. რაჭა 19.2%
6. სამეგრელო 15.8%
7. სხვა 6%

რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ საქართველოს სამი კუთხე, ამიტომ პასუხების ჯამი 100%-ს აღემატება.

**ინტერპრესნიუსი**

## ქალებს ყველაზე მეტად სილამაზე სურთ

15-18 აგვისტოს გამოკითხვის თემას — „ქალები“ — 434 რესპონდენტი გამოეხმაურა. კითხვა ასეთი იყო: „თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რა სურთ ქალებს?“

მკითხველს რედაქციის მიერ შეთავაზებული ჩამონათვლის მიხედვით უნდა შეედგინა რეიტინგი, სადაც მაქსიმალური შეფასებაა 8, ხოლო მინიმალური - 1 ქულა.გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, რეიტინგული მაჩვენებელი წარმოადგენს საშუალო ქულას, რომლის მიხედვითაც შედგა რეიტინგი:

1. სილამაზე 5.88
2. სიმდიდრე 5.72
3. ჯანმრთელობა 5.67
4. სიყვარული 5.55
5. ოჯახი 5.24
6. თავისუფლება 2.89
7. კარიერა 2.80
8. ძალაუფლება 2.25

**ინტერპრესნიუსი**

## გიორგიწმინდის დასახლებაში ხანძარი იყო

გუშინ დილით თბილისთან ახლოს, გიორგიწმინდის დასახლებაში ხანძარი იყო. ცეცხლი ბალახს გაუჩნდა, რის შედეგაც ალი იქვე მდებარე ნაგებობებს მოედო.

როგორც „მედიანიუსს“ თბილისის საგანგებო სიტუაციების სამსახურში განუცხადეს, დამწვარია ნახევარი ჰექტარი მიწის ფართობზე ბალახი და დამხმარე შენობა სათავსოები.

იყო საშიშროება ცეცხლი საცხოვრებელ სახლებსაც მოსდებოდა, თუმცა სახანძრო-სამაშველო ბრიგადებმა ცეცხლის ლოკალიზება დროულად მოახერხეს. ხანძრის გამომწვევ სავარაუდო მიზეზად დაუდევრობა სახელდება.

**მედიანიუსი**

## ვაშაძე მსო-ს გენერალურ დირექტორს შეხვდა

ზალცბურგში, ავსტრია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე შეხვდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს პასკალ ლემის.

როგორც „მედიანიუსს“ საქართველოს საგარეო უწყებიდან აცნობეს, საუბარი შეეხო საქართველოსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას შორის არსებულ თანამშრომლობას და მომავალ პერსპექტივებს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დირექტორს ასევე ინფორმაცია მიაწოდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოსა და რუსეთს შორის შვეიცარიის შუამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ.

**პირველი**

## გიორგი გაჩეჩილაძე: „ზღვა ანაკლიის ახალ შენობებს მალე საფრთხეს შეუქმნის“



მწვანეთა პარტიის ლიდერის გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, ანაკლიას ბევრი პრობლემა აქვს და ეს გასაკვირი არ არის, რადგან ხელისუფლებამ სხვა პროექტების მსგავსად, ანაკლიის პროექტიც უცხოელებს მოამზადებინა, რომლებსაც არც აქაური კლიმატი ჰქონდათ შესწავლილი და არც ნიადაგი.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას გაჩეჩილაძემ აღნიშნა, ანაკლიაში დარგული პალმებიც კმარა იმის მტკიცებულებად, რომ ეს ყველაფერი ზედაპირულად მხოლოდ პიარისთვისა გაკეთებული. იქ დარგეს ასეულობით ძირი ისეთი პალმა, რომელიც ტროპიკულ ზონაში ხარობს და აქაურ კლიმატს ვერ ეგუება.

„უცხოლებმა ეს პალმები ვიზუალურად მოარგეს პროექტს, მაგრამ არ გაითვალისწინეს, ეს პალმები იხარებდა თუ არა ჩვენთან. მათ ეს არც აინტერესებთ, რადგან მილიონებს იღებენ და მერე რა მოხდება, მათთვის ნაკლებად საინტერესოა. ახლა მთელი ორი წელია დგას ეს პალმები ჩამომხარი და ვერა და ვერ გაახარეს. პალმებს კიდევ ვინ ჩივის, ისეთი რაღაცეები არ არის გათვალისიწნებული, რაც შემდგომ სერიოზულ პრობლემებს შექმნის“, — აღნიშნა „მწვანეთა“ ლიდერმა.

მისი თქმით, ანაკლიაში ხშირად ზღვის შემოტევა ხდება და წყალი ხმელეთს ინტენსიურად იტაცებს.

„ანაკლიის საკურორტო ზონასთან აქტიური ეროზიული პროცესები მიდის. გარკვეული პერიოდის შემდეგ იქ აშენებულ შენობებს სერიოზული პრობლემები შეექმნება. ზღვის შემოტევისგან დასაცავად თავდაცვითი ნაგებობის აგება ძალიან ძვირი დაჯდება. ამხელა ფულს კი არავინ გაიღებს. ეს ყველაფერი პიარისთვის კეთდება, რომ მერე „რუსთავი 2“-მა და „იმედმა“ სიუჟეტები ატრიალონ, ვითომ დიდი საკურორტო ზონა და ტურისტული ინფრასტრუქტურა იქმნება. მხოლოდ მოკლევადიან პიარზე გათვლილი და მომავალში, რა მოხდება არავინ ფიქრობს. არის კიდევ ერთი პრობლემა — მდინარე ენგური. ენგურს საკმაოდ დიდი აუზი აქვს და მთელი ნაგავი და სიბინძურე ზღვაში სწორედ ამ საკურორტო ზონასთან ჩააქვს. ამასთან, ზღვის სიღრმე ძალიან დაბალია და არა მგონია ეს ტურისტებისთვის მოსაწონი იყოს. აღარ ვსაუბრობ კონფლიქტის ზონასთან მდებარეობაზე და უსაფრთხოების პრობლემებზე “,— აღნიშნა „მედიანიუსთან“ საუბრისას გიორგი გაჩეჩილაძემ.

**მედიანიუსი**

## დასუფთავების გადასახადის ელექტროენერგიაზე მიბმა მონღოლების დროინდელი გადასახადია

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია (აფბა)“ დასუფთავების გადასახადის ოდენობის განსაზღვრის ახალ წესს აპროტესტებს და მის გაუქმებას მოითხოვს.

როგორც თბილისში, სასტუმრო „ძველ მეტეხში“ გამართულ ბრიფინგზე ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ნაგვის გადასახადის მიბმა ოჯახის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის მოცულობაზე მოქალაქეთათვის უკანონო, არაპირდაპირი გადასახადის დაწესებაა. იგი ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს და ანალოგი არსად მოეპოვება. გამონაკლისად მხოლოდ მონღოლების ბატონობისდროინდელი ხარკი, ხარაჯა და ყაფჩერი დასახელდა.

— სხვათა შორის, დღევანდელი ქართველი ბასკაკები მონღოლებზე წინ მაინც და მაინც არ წასულან. ამის მაგალითია ყაფჩერი, რომელიც რაღაცით ჰგავს დღევანდელ ნაგვის გადასახადს. ყაფჩერი იყო ერთი სული საქონელი ყოველ ას სულზე, მაგრამ ბასკაკები, დღევანდელი ხელისუფალისგან განსხვავებით, უქონელებს და გლახაკებს ყაფჩერს არ აკისრებდნენ, — აღნიშნა აფბას ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ნოდარ ჭიჭინაძემ.

ახალგაზრდა ფინანსისტების განცხადებით, დასუფთავების გადასახადის დარიცხვის ახალი სისტემა მოსახლეობას აღნიშნულ მომსახურებას დაახლოებით ორჯერ უძვირებს.

— ერთსულიანი ოჯახი თვეში საშუალოდ 100-120 კილოვატ ელექტროენერგიას ხარჯავს, რის მიხედვითაც დასუფთავების გადასახადი 5-7 ლარი გამოდის მაშინ, როცა ამ წესის მიღებამდე, თუნდაც 6 თვის წინ, როდესაც დასუფთავების გადასახადი უკვე გაძვირებული იყო, ერთ სულზე იგი მაინც გაცილებით ნაკლებს, კერძოდ, 2,5 ლარს შეადგენდა. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ეს ტარიფი სულზე 1,25 ლარი იყო, — აღნიშნა აფბას პრეზიდენტმა მერაბ ჯანიაშვილმა და დასძინა, რომ ახალი ტარიფის ნაცვლად რეალური, საბაზრო პრინციპებით განსაზღვრული გადასახადის შემოღებაა საჭირო.

აფბა მიიჩნევს, რომ ეს ტარიფი არ ეფუძნება კონკრეტულ გათვლებს და ამ საკითხზე ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს, მათ შორის ის, თუ რატომ მოხდა დასუფთავების ტარიფის მიბმა მაინც და მაინც ელექტროენერგიაზე. ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ელექტოენერგიის მოხმარების ოდენობა სეზონურად იცვლება და, აქედან გამომდინარე, დასუფთავების გადასახადი წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვა გამოდის.აფბა-ში მიიჩნევენ, რომ ერთი საქონლის ღირებულების განსაზღვრა მეორე საქონლის ღირებულებით დაუშვებელია.

„ელექტროენერგიის მიწოდება და დასუფთავება — ორივე მომსახურების ტიპია და მათზე სხვადასხვა საბაზრო ფაქტორი მოქმედებს, აქედან გამომდინარე, მათი ერთმანეთზე მიბმა არ არ არის მართებული“, — აღინიშნა ბრიფინგზე.

აფბა მიმართავს თბილისის საკრებულოს, მოიწვიოს საგანგებო სხდომა და გააუქმოს ნაგვის გატანის გადასახადის დახარჯული დენის ოდენობაზე მიბმის გადაწყვეტილება. იგი ასევე მიმართავს საქართველოს ომბუდსმენს, „ამ გაუგონარი და აბსურდული გადასახადის დაწესებით“ გამოწვეული, მოსახლეობის უფლებების უხეში ხელყოფა გააპროტესტოს.

**მედიანიუსი**

## კონტრაბანდის ფაქტებზე სომხეთის მოქალაქეები დააკავეს

სამართალდამცველებმა საქართველოს საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქროს ნაკეთობების კონტრაბანდულად შემოტანისა და სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების ფაქტებზე სომხეთის მოქალაქეები კარენ მელიქიანი, გარეგინ ჰოვანესიანი და არაიკი პარანიანი დააკავეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ბრალდებულებმა ნახევარი კილოგრამი ოქროს საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა საბაჟო წესების გვერდის ავლით შეძლეს, მაგრამ სამართალდამცველებმა ისინი მარნეულში დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ ამოღებული კონტრაბანდული ოქროს საბაზრო ღირებულება 31 000 ლარს შეადგენს. ძიება სსკ-ის 203-ე და 214-ე მუხლებით მიმდინარეობს. დანაშაული თავისუფლების რვიდან თერთმეტ წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

პირველიშეგახსენებთ ასევე, რომ გიორგობიანს ქართველი სამართალდამცავები ინტერპოლის საერთაშორისო ცირკულარით 2006 წლიდან ეძებდნენ, თუმცა გერმანიამ მას პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.

გიორგობიანს სატყეო დეპატრამენტის ხელმძღვანელად მუშაობის დროს უფლებამოსილების გადამეტებასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ედება ბრალი. ქართულმა სასამართლომ ის დამნაშავედ დაუსწრებლად სცნო. თავად გიორგობიანი თავს პოლიტიკურ დევნილად მიიჩნევს.

საქართველომ გიორგობიანზე ძებნა რამდენიმე წლის წინ გამოაცხადა.

**პირველი**

# გიორგი ყარყარაშვილი: „ანქვაბი ომში ღირსეულ მოწინააღმდეგედ შევაფასე“



საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი გია ყარყარაშვილი მის მიერ რამდენიმე დღის წინ სააგენტო „პირველთან“ საუბრისას აფხაზეთის დე ფაქტო საპრეზიდენტო კანდიდატ ალექსანდრე ანქვაბის შეფასებთან დაკავშირებით, რომელსაც დე ფაქტო პრემიერ-მინისტრ სერგეი შამბას გამოხმაურება მოჰყვა, განმარტებას აკეთებს.

„როგორც ჩანს, ჩემი აზრი არასწორად გადმოვეცი. მე ალექსანდრე ანქვაბი 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის დროს ღირსეულ მოწინააღმდეგედ შევაფასე და ეს კომენტარი ქართველის მიერ გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა და არა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს. იგივე შემიძლია, ვთქვა სერგეი შამბაზეც, რომელიც იმ დროიდან ასევე ღირსეულ მოწინააღმდეგედ მახსოვს. რაც შეეხება რაულ ხაჯიმბას, მასთან ომის პერიოდში შეხება არ მქონია, არ ვიცნობ და ვერ შევაფასებ. 26 აგვისტოსთვის დაგეგმილი ე.წ. არჩევნები და ე.წ. საპრეზიდენტო კანდიდატების შეფასება კი ჩემი საქმე არ არის“, — განუცხადა „პირჭელს“ ყარყარაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ სოხუმში ღია ცის ქვეშ ვიდეო-რგოლის სახით საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის თენგიზ კიტოვანის მიერ გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუ უჩვენეს, რომელშიც იგი ალექსანდრე ანქვაბის მიერ 1992-1993 წლებში ქართულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე საუბრობს.

როგორც კიტოვანი აცხადებს, ანქვაბი 1992-1993 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ დაზვერვასთან და მას მნიშვნელოვან ინფორმაციებს აწვდიდა.

გარდა ამისა, კიტოვანი ამტკიცებს, რომ ქართული ჯარის მიერ სოხუმში შესვლის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ ალექსანდრე ანქვაბი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში ჩართო და მას „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების დროებით ორგანოების ფორმირება“ დაავალა.

დე ფაქტო საპრეზიდენტო კანდიდატ ალექსანდრე ანქვაბის განცხადებით კი, „კიტოვანის ინტერვიუს ჩვენების ორგანიზატორი სერგეი შამბას საარჩევნო შტაბი იყო“.

„ის, რაც სოხუმში მოხდა, მოსალოდნელი იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ სერგეი შამბას შტაბი პროვოკაციებს ამზადებდა. დარწმუნებული ვარ, აფხაზი ხალხის მკვლელი კიტოვანი ნაყიდია და არც ისე ძვირად. სამხედრო დამნაშავის ინტერვიუს ჩვენება იმ დღეებში, როდესაც ქვეყანა ქართული აგრესიის წლისთავს კიდევ ერთხელ მძიმედ განიცდის, მინიმუმ, პოლიტიკური სისულელეა“, — განაცხადა ანქვაბმა.

საქართველოს თავდაცვის კიდევ ერთი ყოფილი მინისტრი გია ყარყარაშვილი ანქვაბის ქართულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას აბსურდს უწოდებს. „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ანქვაბის ქართულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა აბსურდია და მეტი არაფერი. ვფიქრობ, მოწინააღმდეგეს მსგავსი არ უნდა აკადრო. როგორც ჩანს, გარკვეულ ძალებს შესაძლოა, რუსულ მხარეს ალექსანდრე ანქვაბის დისკრედიტაცია სურთ“, — განუცხადა „პირველს“ ყარყარაშვილმა.

მისივე თქმით, „ქართული მხარისთვის ერთიც და მეორეც მოწინააღმდეგეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველები მათ უღირსი მეთოდებით უნდა ვებრძოლოთ“.

აღნიშნულიდან რამდენიმე დღის შემდეგ ალექსანდრე ანქვაბის განცხადებას კიდევ ერთი დე ფაქტო საპრეზიდენტო კანდიდატი სერგეი შამბა გამოეხმაურა, რომლის მტკიცებით, მას „საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის თენგიზ კიტოვანის სოხუმში საჯარო ჩვენების ორგანიზებასთან საერთო არაფერი აქვს“.

„მე ამასთან საერთო არაფერი მაქვს. თუ ასე ვიმსჯელებთ, მაშინ გამოდის, რომ მე ვარ ყარყარაშვილის იმ ინტერვიუს ორგანიზატორიც, რომელშიც მან თქვა, რომ ანქვაბი ძალიან კარგი ადამიანია. ასევე გამოდის, რომ მე სხვა ჟურნალისტებთან იმის ორგანიზებაც მოვახდინე, რომ მათ ახლა იმის შესახებ ეწერათ, როგორ საუბრობს 2004 წელს არძინბა იმაზე, თუ რაშია ეჭვმიტანილი ანქვაბი. ასევე შეიძლება, ითქვას, რომ მე ვარ ქართველებისთვის იარაღის გადაცემის შესახებ სისხლის სამართლის იმ საქმის წარმოების ორგანიზატორი, რომელშიც ანქვაბს ადანაშაულებდნენ. კიდევ შეიძლება, ვთქვათ, რომ მე გავუწიე ორგანიზება შევარდნაძის იმ განკარგულების ასლის გავრცელებას, რომლის თანახმად, ანქვაბი სახელმწიფო საბჭოს წევრად დაინიშნა. ამ ყველაფრის ორგანიზატორი მე ვარ?! ეს ის საკითხებია, რომელიც პირველად არ წამოჭრილა. მე არანარიად არ შემეძლო, მოსკოვში კიტოვანი მეპოვა, რომელიც სადღაც იმალება და მისგან ინტერვიუ ამელო. მე მსგავსი არაფრის გაკეთება შემეძლო“, — განაცხადა შამბამ.

**პირველი**

# საქართველოში მომავალ ავტობუსს თურქეთში მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა

სტამბულის ოქროს რქის უბანში, საქართველოში მომავალ მგზავრებით სავსე ავტობუსს მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა. ინციდენტის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა.

თურქული მედიის ცნობით, ევროპა-აზიის ხიდთან ავტობუსს საბურავი დაუზიანდა და მძღოლი იძულებული გახდა ტრანსპორტი გაეჩერებინა. იმის გამო, რომ უსაფრთხოების ზომები ბოლომდე დაცული არ იყო, საპირისპიროდ მოძრავი ავტომობილი ავტობუსს შეეჯახა. ავარიის შედეგად შექმნილი საცობის გამო, შემთხვევის ადგილას ძლივს მიაღწია სასწრაფო დახმარებამ, სახანძრომ და საგზაო პოლიციამ.

ავარიის შედეგად დაზარალებული მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი და მისი ამგზავრი ამ დროისათვის საავადმყოფოში იმყოფებიან და ექიმები მათ მდგომარეობას კრიტიკულად აფასებენ.

**მედიანიუსი**

# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

**ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)**

# აფხაზები მხარს ალექსანდრე ანქვაბს დაუჭერენ

აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში აფხაზები მხარს ალექსანდრე ანქვაბს დაუჭერენ. ამგვარი პროგნოზი „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ გააკეთა.

დავითაია აღნიშნავს, რომ აფხაზეთში აფხაზური და პრორუსული ბანაკებია ჩამოყალიბებული, რომლებსაც შესაბამისად ალექსანდრე ანქვაბი და სერგეი შამბა მეთაურობენ. იგი ასევე იხსენებს, რომ 2004 წლის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში სერგეი ბაღაფშმა რეალურად ანქვაბის ხარჯზე გაიმარჯვა, რომელიც მაშინ ბაღაფშთან ერთად ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე იყრიდა კენჭს.



„მიმაჩნია, რომ ანქვაბის გამარჯვების შანსი დღესაც ძალიან დიდია. აფხაზები ხედავენ, რომ ვერ იცავენ ტერიტორიას, საკუთარ ქონებას და ეს ყველაფერი მათ დიდ პრობლემებს უქმნის. ანქვაბი კი არის ფიგურა, რომელიც აფხაზეთს განიხილავს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და არა რუსეთზე დამოკიდებულს. სწორედ ამიტომ მას აფხაზების უმეტესობა მხარს დაუჭერს და დარწმუნებული ვარ, ანქვაბი გაიმარჯვებს კიდეც, იმის მიუხედავად, რომ კრემლი შეეცდება, შამბას გაამარჯვებინოს. აფხაზებმა მოსკოვის ნებას მაშინაც გაბედულად გაუწიეს წინააღმდეგობა, როცა თვით ვლადიმერ პურტინმა ფსონი რაულ ხაჯიმბაზე დადო“, — განაცხადა პაატა დაითაიამ.

ანქვაბის გამარჯვების შემთხვევაში დავითაია შამბას მიერ რევოლუციის ორგანიზების შესაძლებლობას არარეალურად მიიჩნევს და ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ შამბას აფხაზები მხარ არ უჭერენ. „ამ ფონზე ეს იქნება არა რევოლუცია, არამედ რუსეთის მიერ ორგანიზებული სამხედრო გადატრიალება აფხაზეთში, რომელიც პირობითად სახელმწიფო წარმონაქმნად იგულისხმება“, — აღნიშნა პაატა დავითაიამ.

აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები 26 აგვისტოსთვის არის დანიშნული. კენჭს მოქმედი დე-ფაქტო პრემიერი სერგეი შამბა, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ანქვაბი და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა იყრიან.

**ინტერპრესნიუსი**

# თბილისის რამდენიმე უბანს ელექტროენერგია გაეთიშება

სარემონტო სამუშაოების გამო 23 აგვისტოს 10 საათიდან 16 საათამდე გლდანის რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება. შეზღუდვა შეეხება იპოლიტოვ-ივანოვის, შეშელიძის, სარაჯიშვილის, ქინძმარაულის და ქერჩის ქუჩების მაცხოვრებლებს.

შეზღუდვა შეეხება მოსკოვის გამზირის, სამრეწველო დასახლების, ჩოლოყაშვილის, ბოგდან ხმელნიცკის და წულაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგებათ.

**მედიანიუსი**

# მუამარ კადაფის ანგოლა და ზიმბაბვე თავშესაფარს სთავაზობენ

ლიბიის ლიდერ მუამარ კადაფის ანგოლა და ზიმბაბვე თავშესაფარს სთავაზობენ. ტელეარხ „ალ ჯაზირას“ ცნობით, ამ აფრიკულ სახელმწიფოებში კადაფის ტრიპოლიდან გამოყვანის გეგმას ამუშავებენ: სახელისუფლო პირები კადაფის ახლობლებთან მართავენ მოლაპარაკებებს, თუმცა უცნობია, როგორ მოახერხებს ლიბიის ლიდერი ტრიპოლის დატოვებას.

ცოტა ხნის წინ „ფრანს-პრესი“ წერდა, რომ კადაფი არა ტაჯურის საავადმყოფოში, არამედ ბაბ-ალ-აზიზიას რეზიდენციაში რჩება.

ამასთან, „ალ ჯაზირას“ ცნობით, აჯანყებულებმა უკვე დაიკავეს ტრიპოლის 80 პროცენტი.

ლიბიაში ტრიპოლიზე კონტროლის ასაღებად ბრძოლები მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამბოხებულებმა დაიკავეს სახელმწიფო ტელევიზია და აეროპორტი.

ტრიპოლიში ბრძოლები ამ წუთებშიც გრძელდება.

**ინტერპრესნიუსი**

# პატრიოტულ ბანაკ „ჰერეთის“ ნაწილი წყალმა წაიღო

პატრიოტულ ბანაკ „ჰერეთის“ ნაწილი წყალმა წაიღო. ბანაკი მდინარე ლაგოდეხის ხევთან, დაახლოებით 30 მეტრში მდებარეობს.

ამჟამად ბანაკი არ ფუნქციონირებს, თუმცა იქ დარაჯი იმყოფება. წყალმა მოგლიჯა და წაიღო საპირფარეშოები და სააბაზანო ოთახები.

ბანაკის ტერიტორიაზე ნიაღვარი ამ დრომდე მოედინება.

## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# მატჩები და გოლნაკლული ტური

23-ე ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მე-3 ტური ნაკლული გაიმართა. ევროტურნირებზე ასპარეზობის გამო თბილისის „დინამოსა“ (ქუთაისის ტორპედოსთან) და „ზესტაფონის“ (გორის დილასთან) მატჩები გაურკვეველი დროით გადაიდო. დანარჩენი 4 მატჩი კი ჩატარდა, მაგრამ საკმაოდ გოლმწირი გამოდგა, 8 გუნდიდან 6 გოლის გატანა საერთოდ ვერ მოახერხა და ის 4 გატანილი ბურთიც 2 გუნდზე მოდის.



**გაგრა — მეტალურგი 2:0**

**თბილისი.** მერანის სტადიონი

1:0 შარიქაძე (40), 2:0 ორდინსკი (71)

**გაგრა:** სეფიაშვილი, ხუციძე, ტყეშელაშვილი, ზ.ჩხეტიანი, კალანდაძე, ნაკონეჩნი, შარიქაძე, სიჭინავა (ჭკუასელი 36), ნ.ჯიშკარიანი, მაგაჯი (ორდინსკი 55), კვანტალიანი (ყურულაშვილი 82)

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, დობროვოლსკი (პავლიაშვილი 76), კვახაძე, მახვილაძე, ჯაფარიძე, გ.კვარაცხელია, რაზმაძე, გეწაძე, ი.მაისურაძე (ქავთარაძე 83), მიქაბერიძე (ტატანაშვილი 46), მოდებაძე

ევროტურნირებზე ეს ორი გუნდიც გამოდიოდა, ამიტომ ელ კლასიკოს გადადების შემდეგ ტურის ცენტრალურადაც მიიჩნეოდა.

თავდაპირველად ქვემოქართლელები აქტიურობდნენ და რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც გაანიავეს. თუმცა, შემდეგ მდგომარეობა გათანაბრდა და სახიფათო მომენტები მეტოქეთა კართან ნაკლებად იქმნებოდა.

თითქოს ხიფათი არც მე-40 წუთზე უნდა შექმნილი. რუსთაველები უწყინარ სიტუაციაში დაჯარიმდნენ. ლევან შარიქაძემ დიდებულად შეასრულა და მარცხენა ფეხით ზურაბ ბათიაშვილს აუღებელი დაურტყა — 1:0.

მეორე ნახევარიც „მეტალურგის“ შეტევებით დაიწყო, მაგრამ რუსთაველები საჯარიმოში ვერ შედიოდნენ და უფრო შორიდან დარტყმებით ან ჩაწოდებებით ცდილობდნენ ხიფათის შექმნას, რაც არცთუ კარგად გამოსდიოდათ.

სანამ „მეტალურგი“ ასე წვალობდა, გაგრელთა უკრაინელმა ლეგიონერმა ბლადიმერ ორდინკიმ შორიდან მოულოდნელად გაისროლა და 2:0.

გაგრელებმა შესანიშნავად დაიწყეს სეზონი და ქულადაუკარგავად ლიდერობენ ეროვნულ ჩემპიონატს.

**ვიტ ჯორჯია — მერანი 0:0**

**მცხეთა.** მცხეთა პარკი

**ვიტ ჯორჯია:** ძაძამია, ადამაძე, კასრაძე, ჩიმაკაძე (მაისაშვილი 90), ვასაძე, ჯანელიძე, ღანიაშვილი, გურამ გურეშიძე, გიორგი გურეშიძე (კორიფაძე 63), სიხარულიძე (ვაშაკიძე 53), ხურცილავა

**მერანი:** ჯონი შეროზია, კაკუშაძე, გიგა ჟვანია, იობაშვილი, სუხიაშვილი, ელგუჯა გრიგალაშვილი, გიორგი მანწკავა (მემარნიშვილი, 72), დიდავა, ამბროლაძე (სამადაშვილი, 68), ჩალაძე, ტაპე (ჭაფოძე, 82)

მერანმა დაცვითი ტაქტიკა აირჩია და ვიტ ჯორჯიას საიერიშო სივრცეები შეუზღუდა. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს სტუმართა კართან. პირველ ტაიმში გამოსარჩევი იყო დავით ხურცილავას ჩაწოდება და გიორგი ვასაძის თავური, რომელიც მერანის მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

შესვენების შემდეგ ვიტ ჯორჯიამ ზეწოლა კი გააძლიერა, თუმცა გოლის გასატანად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. საუკეთესო შანსი გიორგი ვაშაკიძეს ჰქონდა, როცა ბურთი თავზე გადაავლო მარტვილელთა კიპერს, მაგრამ დარტყმას სიზუსტე დააკლდა.

**სპარტაკი — სიონი 0:0**

**მცხეთა.** საგურამოს სპორტული კომპლექსი

**სპარტაკი:** ლ.ძაგანია, ციმაკურიძე, ბოიომო, ლომაია, ნ.მაისურაძე (სამხარაძე 46), ხუბუა, თ.შონია, კილასონია, შალამბერიძე (ქანთარია 65), რ.ჯიქია, მეტრეველი

**სიონი:** ზუხბაია, სვანიძე, თარგამაძე, კობაური, ლ.ჩხეტიანი, გ.ოქროპირიძე, ადამაშვილი (კობერიძე 46), გაბრიჭიძე, ვ.უგრეხელიძე, ვ.ბოლქვაძე (ქუცურუა 70), გ.ჯ.რეხვიაშვილი (ისიანი 78)

თითქოს ახალი სეზონისთვის გაძლიერებული ცხინვალელები ვერაფრით ახერხებენ სპეციალისტთა გაკვირვებას. თუ პირველ ტურში დინამოსთან მარცხი (ამასთან, სპარტაკი არ იმსახურებდა), ასე თუ ისე მისაღები იყო, შემდეგ მარტვილიდან უქულოდ წამოსვლა და ამჯერად უმაღლესი ლიგისთვის წინასწარ განწირულ სიონთან ვერმოგება უკვე მათთვის არის დამააფიქრებელი. როგორც ჩანს, სპარტაკელთა წლევანდელი მიზანიც ელიტაში ადგილის შენარჩუნება იქნება.

მართალია, მატჩი მასპინძელთა საგრძნობი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ, თუ მისი რეალიზაცია არ მოხდა, ამას აზრი ეკარგება.

**ბაია — კოლხეთი 2:0**

**ზუგდიდი.** გულია თუთბერიძის სახელობის სტადიონი

1:0 შავგულიძე (2 ს.კ), 2:0 ენდელაძე (86)

**ბაია:** სომხიშვილი, სვირავა, აფაქიძე, მგელაძე, შონია, გუგუჩია (ენდელაძე, 75), რიგვავა, ი.ქობალია, ეხვაია (სიხარულია, 55), ლომია (კანკია, 62), წურწუმია

**კოლხეთი:** ნადირაშვილი, ინწკირველი, ცხვიტარია, ლომაშვილი, ცხადაია, ქებაძე, შავგულიძე (წიქარიშვილი 76), გვალია, მდივნიშვილი, ჯანაშია (გულუა 76), ციცხვაია

მეგრული დერბი ყოველთვის გამოირჩევა თავისი დაძაბულობითა და სანახაობრივი თვალსაზრისით. ამჯერადაც ასე იყო.

მატჩი მასპინძელთათვის იღბლიანად დაიწყო. უკვე მეორე წუთზე ეხვაიას ფლანგური ჩაწოდების შემდეგ შავგულიძემ ბურთი უნებლიეთ თავის კარში გაგზავნა — 1:0. ასეთმა დასაწყისმა მასპინძლებზე დადებითად იმოქმედა, გარკვეული დრო უპირატესობასაც ფლობდნენ და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. „კოლხეთმა“ ნელ-ნელა თამაშის გათანაბრება შეძლო, მაგრამ მცირეოდენი სათამაშო უპირატესობა კვლავ ზუგდიდელების მხარეს იყო.

მეორე ტაიმის საწყისი 20 წუთი მთლიანად „კოლხეთის“ უპირატესობით წარიმართა. კოლხები განსაკუთრებული შემართებით თამაშობდნენ და მეტოქე საკუთარ კარს მიაჯაჭვეს.

თამაშის მიწურულს ზუგდიდელმა ირაკლი ქობალიამ მეტოქეს ბურთი აართვა და რიგვავას გადააწოდა, რომელმაც, თავის მხრივ, ნადირაშვილთან პირისპირ ენდელაძე დატოვა. ამ უკანასკნელმა მშვიდად შეძლო მეორე გოლის გატანა და საბოლოო ანგარიშის დაფიქსირება — 2:0.

**ტორპედო - დინამო გადაიდო**
**ზესტაფონი - დილა გადაიდო**

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გაგრა | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| 2.ბაია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| 3.დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| 4.ზესტაფონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 5.მეტალურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| 6.ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| 7.მერანი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| 8.ტორპედო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 9.კოლხეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| 10.სპარტაკი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| 11.სიონი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |
| 12.დილა | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |

# პირველი ბზარი რომში

ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე რომა კი სლოვანს ესტუმრა და, ბევრისთვის მოულოდნელად, მინიმალური ანგარიშით დამარცხდა.

რაც მთავარია, უკვე იჩინა თავი იმ პრობლემამ, რაზეც იტალიურ პრესაში იმ დღიდან წერენ, რაც გუნდის სათავეში ესპანელი სპეციალისტი მივიდა.

ლაპარაკია იმაზე, რომ ფრანჩესკო ტოტის და ლუის ენრიკეს საერთო ენის გამონახვა გაუჭირდებათ. ასეთი ვარაუდი კი იქიდან მომდინარეობს, რომ ესპანელი საკმაოდ ამბიციურია და გუნდის მთლიანად სათავისოდ გადაწყობას გეგმავს, თანაც ისე, რომ ფეხბურთელების აზრის გათვალისწინებას არ აპირებს - ეს თავად ენრიკემ განაცხადა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე და ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, ფრანჩესკო ტოიტის ბოსტანში ისროლა კენჭი, რომელიც ყოველთვის ერეოდა გუნდის არათუ სუფთა სათამაშო ასპექტებში, არამედ სატრანსფერო პოლიტიკაშიც კი.

მართალია, სულ რამდენიმე დღის წინ ტოტიმ საჯაროდ განაცხადა, მთავარი მწვრთნელის საქმეებში ჩარევას არ ვაპირებო, მაგრამ სლოვანთან მატჩის შემდეგ სიტყვა გატეხა და შემდეგი განაცხადა:

მწვრთნელმა მხოლოდ 15 წუთით მათამაშა, არადა, შესანიშნავ ფორმაში ვართ და ვგრძნობდი, რომ შემეძლო გუნდისთვის კარგი სამსახური გამეწია. სათადარიგოთა სკამზე ჯდომის პრობლემა არ მაქვს, მაგრამ ყველაზე მეტად იმან დამწყვიტა გული, რომ ენრიკეს არაფერი აუხსნია. საერთოდ, კარგი იქნება, თუ თითოეულ ასეთ გადაწყვეტილებას ახსნა მოჰყვება, რათა ვიცოდე, რა არ მოსწონს ჩემში მწვრთნელს და რა კომპონენტებზე მაქვს სამუშაო. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ მის საქმეებში ჩარევას არ ვაპირებ, უბრალოდ, მსურს, ყველაფერი ურთიერთპატივისცემის ფარგლებში მოხდეს. რაც შეეხება სლოვანთან შეხვედრას, მთლიანობაში უკმაყოფილო დავრჩი, რადგან დაცვაში ბევრი შეცდომა დავუშვით, შეტევაში კი ბევრი არაფერი შეგვიქმნია. ნათლად გამოჩნდა, რომ სასურველი ფორმისგან ძალიან შორს ვართ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სეზონის სტარტს კარგად მომზადებულნი ვერ ვხვდებით. ვისი ბრალია ეს? — როგორც ჩანს, საწვრთნელი პროცესი ისე არ დაიგეგმა, როგორც საჭირო იყო. ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ერთი მარცხისგან ტრაგედიის შექმნა ნამდვილად არ ღირს. ვნახეთ ის მინუსები, რომლებიც აღმოსაფხვრელია, თუმცა, ის პლუსებიც კარგად გამოჩნდა, რომლებიც ჩვენს მთავარ კოზირად უნდა ვაქციოთ. განმეორებითი თამაში წინ არის და, დარწმუნებული ვარ, რომ სასურველ შედეგს მივაღწევთ. რაც შეეხება ძირითადი შემადგენლობის თემას, იმ ფეხბურთელებზე შევაჩერე არჩევანი, რომლებიც მოცემული მომენტისთვის საუკეთესო ფირმაში იყვნენ. მართალია, შესაძლებლობების წარმოჩენა გაუჭირდათ, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფეხბურთში ყველაფერი ხდება და არსებული რეალობა მშვიდად უნდა მივიღოთ.

# დედოფლისწყაროში 28 ადამიანს ცოფის საწინააღმდეგო მკურნალობა უტარდება

დედოფლისწყაროს რაიონში 28 ადამიანს ცოფის საწინააღმდეგო მკურნალობა უტარდება. როგორც „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრდან აცნობეს, 6 წლის ბავშვი სახეზე და ხელზე კატამ დაკაწრა, რომელიც ცოფიანი იყო.

— ბავშვი სახეზე და ყელზე იყო დაკაწრული, მას შესაბამისი ვაქცინის გარდა ესაჭიროებოდა პრეპარატი იმუნოგლობულინი, რომელიც ჩვენ საავადმყოფოში არ გვქონდა. პაციენტი თბილისში აიცრა და ამჟამად თავს კარგად გრძნობს. კატა კი მეორე დღეს მოკვდა. ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად ცხოველს ცოფი დაუდგინდა. იმავე დღეს ავცერით 28 ადამიანი, ვისაც კატასთან კონტაქტი ჰქონდა. პაციენტებს სულ ხუთი აცრა უნდა ჩაუტარდეთ, — განაცხადა ეპიდემიოლოგმა ლალი ალადაშვილმა.

**მედიანიუსი**

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნორვიჩი-სტოკი ........ 1:1
ვულვზი-ფულემი ........ 2:0
ბოლტონი-სიტი ........ 2:3

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ვესტ ჰემი-ლიდსი ........ 2:2
მიდლსბრო-ბირმინგემი ........ 3:1

**იტალია. თასი**

მოდენა-რეჯინა ........ 2:1
ფიორენტინა-ჩიტადელა ........ 2:1
ჩეზენა-ასკოლი ........ 1:0(დდ)
ატალანტა-გუბიო ........ 3:4
ბარი-აველინო ........ 4:0
ბოლონია-პადოვა ........ 2:1
კალიარი-ალბინოლეფე ........ 5:1
კატანია-ბრეშა ........ 2:1
კიევო-ლივორნო ........ 1:0
ლეჩე-კროტონე ........ 0:2
ნოვარა-ტრიესტინა ........ 4:0
პარმა-გროსეტო ........ 4:1
სიენა-ტორინო ........ 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

მაინცი-შალკე ........ 2:4
ჰანოვერი-ჰერტა ........ 1:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ფრანკფურტი ........ 4:0
კოტბუსი-კარლსრუე ........ 2:0
დინამო-პადერბორნი ........ 1:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონპელიე-რენი ........ 4:0
ნანსი-სოშო ........ 1:2
პსჟ-ვალანსიენი ........ 2:1
მარსელი-სენტ ეტიენი ........ 0:0

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ერაკლესი-ფეინოორდი ........ 1:1
ალკმაარი-ნაიმეგენი ........ 4:0
ვენლო-აიაქსი ........ 2:2
დენ ჰააგი-პსვ ........ 0:3

**პორტუგალია. ა ლიგა**

აკადემიკა-რიუ ავე ........ 1:0
ფერეირა-ლეირია ........ 2:1
ბეირა მარი-სპორტინგი ........ 0:0
ბრაგა-მარიტიმუ ........ 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ნალჩიკი-სპარტაკი ........ 1:1
ყუბანი-ვოლგა ........ 5:0
ლოკომოტივი-კრასნოდარი ........ 1:0
ანჟი-დინამო ........ 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-რეინჯერსი ........ 0:3
კილმანროკი-ჰარტსი ........ 0:0
სელტიკი-სტ.ჯონსონი ........ 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

მატერსბურგი-რიდი ........ 2:3
რაპიდი-აუსტრია ........ 0:3
ზალცბურგი-შტურმი ........ 1:1

**ბელგია. პროლიგა**

ანდერლეხტი-მონსი ........ 2:2
ვარეგემი-ბრიუგე ........ 1:1
სტანდარდი-კორტრაიკი ........ 3:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

იანგ ბოიზი-თუნი ........ 0:2
ლოზანა-სიონი ........ 0:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

იაგელონია-კრაკოვია ........ 2:1
ლეგია-შლიონსკი ........ 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვორსკლა-დნიპრო ........ 0:0
ტავრია-კარპატი ........ 1:1
შახტარი-ილიჩევეცი ........ 3:0
მეტალისტი-მეტალურგი(დ) ........ 2:0
დინამო-კრივბასი ........ 1:0

**დანია. სასლიგა**

მიდტიულანდი-ნორდსიელანდი ........ 2:1
კიოგე-სილკებორგი ........ 3:0
ორხუსი-ბრონდბიუ ........ 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

სირიანსკა-ელფსბორგი ........ 0:2
ჰეკენი-დიურგარდენი ........ 2:0
აიკი-ტრელებორგი ........ 3:0
ჰელსინბორგი-ჰალმშტადი ........ 2:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სონგდალი-სტარტი ........ 2:0
სტრომგოდსეტი-ალესუნდი ........ 2:2
ტრომსო-ფრედრიკსტადი ........ 3:1
ჰაუგესუნდი-რუსენბორგი ........ 2:2
სტაბეკი-ბრანი ........ 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-მიუპა ........ 1:2
მარიეჰამნი-ჯჯკ ........ 2:2
ჰიკი-როვანიემი ........ 5:0

**ირლანდია. პრემიერდივიზიონი**

გელვეი-შემროკი ........ 2:3

**აშშ. მლს**

ჩიკაგო-ტორონტო ........ 2:0
კანზასი-ვაშინგტონი ........ 1:0

**ბრაზილია. სერია ა**

ავაი-კურიტიბა ........ 0:0
ატლეტიკო(გ)-გრემიო ........ 1:0
ინტერნასიონალი-ფლამენგო ........ 2:2
სან პაულუ-პალმეირასი ........ 1:1
ატლეტიკო(პ)-ამერიკა ........ 2:2
ბაია-სანტოსი ........ 1:2
ვასკო-ფლუმინენსე ........ 1:1

**არგენტინა. აპერტურა**

ოლ ბოიზი-რაფაელა ........ 1:2
ტიგრე-გოდოი ........ 2:1
ოლდ ბოიზი-ბოკა ........ 0:1
ბანფილდი-რასინგი ........ 0:1

**კალათბურთი**

**ეჩ-2011. შესარჩევიტაპი**

ფინეთი-უნგრეთი ........ 87:65

**ამხანაგური მატჩები**

ხორვატია-ჩინეთი ........ 83:53
დ.ბრიტანეთი-ავსტრალია ... 90:91(ოტ)
საფრანგეთი-სერბეთი ........ 80:77
საბერძნეთი-ბელგია ........ 70:61
გერმანია-თურქეთი ........ 64:52
მაკედონანი-ა.ზელანდია ........ 68:67
ისრაელი-პოლონეთი ........ 82:70
ესპანეთი-სლოვენია ........ 79:57

**ფრენბურთი**

**მსოფლიო გრან პრი**

**ქალები**

დომინიკების რესპ.-ყაზახეთი ........ 3:2
ჩინეთი-პოლონეთი ........ 3:0
ტაილანდი-ბრაზილია ........ 0:3

**ჩოგბურთი**

**ატპ. ცინცინატი. მასტერსი**

**ფინალი**

ჯოკოვიჩი-მიურეი ........ 4:6;0:6

**ვტა. ცინცინატი. მასტერსი**

**ფინალი**

შარაპოვა-იანკოვიჩი ........ 4:6;7:6;6:3

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## დღის კალენდარი

### 23 აგვისტოსთვის



წლის 225-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 140 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

სულთმოფენობიდან მე-14 შვიდეული. სამშაბათი

უფლის ფერისცვალების შემდგომი დღესასწაული.

ხსენება მოწამე მთავარდიაკონისა ლავრენტისა, სიქსტე პაპისა, ფელიქსიმე და ალაპიტე დიაკონთა, რომანოზისა — რომაელთა (258).

წმიდანები ევნენ 258 წელს იმპერატორ ვალერიანეს დროს. ათენელი სიქსტე ესპანეთში ქადაგებდა და ბოლოს წმიდა პაპ სტეფანეს მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ რომის ეპისკოპოსად აკურთხეს. მალე იგი შეიპყრეს და დილეგში ჩააგდეს. მთავარდიაკონმა ლავრენტიმ სიქსტეს სთხოვა, ყველაფერი გაეყიდა და უფლის გზას გაყოლოდა. წმიდანმა შეასრულა ეს თხოვნა და იმპერატორის ბრძანებით ისიც დილეგში ჩააგდეს. მალე მათ თავი მოჰკვეთეს.

წმიდა ლავრენტის ცხედარი პატივით დაკრძალეს 258 წლის 23 აგვისტოს.

**დაიბადნენ:**

1754 — ლუი XVI, საფრანგეთის მეფე. 1793 წელს სიკვდილით დასაჯეს.

1769 — ჟორჟ კიუვიე, ფრანგი ზოოლოგი.

1887 — სანდრო ინაშვილი, ცნობილი მომღერალი.

1925 — სულხან ცინცაძე, კომპოზიტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1987 წელს.

**გარდაიცვალნენ:**

1806 — შარლ ოგიუსტენ კულონი, აღმოაჩინა ელექტროსტატიკის ძირითადი კანონი.

1943 — იოჰან ზილცერი, გერმანელი კომპოზიტორი.

1958 — როჟე მარტენ დიუ გარი, ფრანგი მწერალი.

1982 — სტენფორდ მური, ამერიკელი ბიოქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**მოვლენები:**

476 — დასავლეთ რომის იმპერია საბოლოოდ დაეცა.

1821 — მექსიკამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

1839 — ბრიტანეთმა დაიპყრო ჰონკონგი.

1905 — დაიდო პორტსმუტის სამშვიდობო ხელშეკრულება რუსეთსა და იაპონიას შორის.

1914 — იაპონიამ ომი გამოუცხადა გერმანიას.

1939 — სსრკ-მა და ფაშისტურმა გერმანიამ ხელი მოაწერეს პაქტს თავდაუსხმელობის შესახებ.

1948 — შეიქმნა მსოფლიო ეკლესიათა სათათბირო (44 ქვეყნის 147 ეკლესია).

1962 — ნაჩვენები იქნა პირველი პირდაპირი სატელევიზიო პროგრამა ევროპა აშშ.

1990 — სომხეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

1990 — აღმოსავლეთი და დასავლეთი გერმანია გაერთიანდა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

უნგრეთი — 1956 წლის მოვლენების ხსოვნის დღე.

რუმინეთი — ფაშიზმისგან გათავისუფლების ეროვნული დღე.

საბჭოთა ჯარების მიერ კურსკის ბრძოლაში გერმანული ჯარების განადგურების დღე.

**მედიანიუსი**

# თათარი მხოლოდ არჩევნებზე უნდათ!

— გზაზე წყალი, ბოსტანში წყალი, ეზოში წყალი, სახლი სულ წყალშია, ყველაფერი წაიღო. 4 მეშოკი ფქვილი წავიდა, 3 ტონა ქერი. ლობიო, პამიდორი. არაფერი არ დატოვა. ბავშვები მაღლა სახლში დავსვი. მე აქ მოვედი. ტრაქტორი მინდა. არავინ არის. ყურადღება არ არის. სოფლის გამგებელიც კი არ არის. თათარი მარტო არჩევნებზე უნდათ, — აღნიშნა ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში მცხოვრებმა გულნაზ მამედოვამ.

***— ლაგოდეხში მრავალბინიან სახლებს დანგრევის საფრთხე ემუქრება, ხალხი გაიყვანეს და იქ არიან გუბერნატორიც, გამგებელიც, მაშველებიც და პოლიციაც.***

— ჩვენ ხალხი არ არის? აქ ცოტა ხალხია? ნახე რა დღეში ვარ. დაჯექი ტრაქტორზე, წაგიყვან, ნახე რა დღეში არი ხალხი. აი ბიჯოოოო, ერთ მეტრზე წყალი დგას ყველგან. რა უნდა აჭამოს ოჯახს, არაფერი აღარ დარჩა. რაც მოვიდა, სულ წაიღო. ქათამიც აღარ არის, წიწილა, კვერცხები სულ წაიღო.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალის მაცხოვრებლები ხელისუფლების მისამართით უკმაყოფილებას არ მალავდნენ. კაბალს, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, წყალმა დილიდან შეუტია. მდინარე □კაბლის ხევიდან□ გადმოვარდნილი წყალი ცენტრალურ საავტომობილო და შიდა საუბნო გზებზე მიედინებოდა. წყლის სიმაღლე ზოგიერთ ადგილზე ერთ მეტრს აღწევდა. დაიტბორა 500-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, ასობით ჰ



ექტარი ნაკვეთი, დაიხოცა შინაური ფრინველი და წვრილფეხა საქონელი. ადგილობრივები დატბორილი უბნებიდან გასვლას საკუთარი ძალებით ცდილობდნენ. ბავშვები სტიქიის ზონიდან ცხენით, ტრაქტორებით და სატვირთო მანქანებით გაჰყავდათ. დაახლოებით 4 საათისთვის 80-მდე ოჯახმა საცხოვრებელი სახლი დატოვა. მათი თქმით, სახლში დარჩენა სიცოცხლისთვის საშიში იყო, რადგან წყლის სიმაღლე უკვე ერთ მეტრს აღემატებოდა.

**ედგარ მამედოღლი, კაბალის მცხოვრები:** □

— დილიდან აქ ვარ, გზასთან. არავინ მოსულა, რა გიჭირთო. წყალი მოდის და მოდის. გამგებელს დავურეკეთ და გვითხრა, ლაგოდეხში უარესი მდგომარეობაა და ჯერ აქ ვართო□.

დილარა ისმაილოვა, კაბალის მცხოვრები:

— არჩევნები როცაა ლექსად გვასწავლიან, ბეშ შემოხაზეთო. რატომ ეხლა არ მოვიდნენ? აქ ხალხი არ არის? სახლები ხომ შეიძლება აქაც დაინგრეს. ხალხი წყალში იყო და ჩვენ გამოვიყვანეთ ტრაქტორებით, ცხენებით. ზოგი ფეხით. სამი მანქანა წყალში ჩავარდა, ბავშვები ძლივს გადმოვიყვანეთ.

კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი კაბალის მაცხოვრებლების განცხადებებს უარყოფს. მისი თქმით, გუშინ, კაბალის ერთ-ერთ უბანში, საიდანაც წყლის გამო რამდენიმე ადამიანი გამოსვლას ვერ ახერხებდა, ისინი სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა გამოიყვანეს.

სოფელ კაბალის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ჯემალ ნიაზოვი კი ამბობს, რომ სოფელში ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ კაკალაშვილი იყო ჩასული, დღეს, დილით კი რაიონის გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე იყვნენ.

***— ბატონო ჯემალ, სახლები ისევ დატბორილია?***

— სულ 520 სახლი დაიტბორა. ზოგი სახლიდან წყალი თვითონ, ხალხმა ამოტუმბა, ვისაც „დვიჟოკი" ჰქონდა. ზოგმა ვედროებით გადმოღვარეს. შუქი არ იყო. ეხლა შუქი მოვიდა და „პომპებს" ჩართავენ.

***— სახანძრო მანქანებით არ დაეხმარნენ?***

— არა, სახანძრო მანქანებით აქ არ მოსულან. ალბათ არ სცალიათ, ლაგოდეხში იმუშავებენ.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

## სასარგებლო რჩევები

თუ ცხიმიანი და ფორებიანი კანი გაქვთ, მის მოსავლელად იდეალურია კენკრის ფოთლების ნაზავი მისსავე ნაყოფთან. დაჭერით ნებისმიერი კენკრის ფოთლები წვრილად და აურიეთ ერთ მუჭა კენკრაში (მაყვალი, ჟოლო, მარწყვი). მიღებული მასა წაისვით სახეზე, გაიჩერეთ 15-20 წუთით და ჩამოიბანეთ.

თმის ძირების გასამაგრებლად კარგია დაფნის ფოთლის ნახარში. 100 გრამ დაფნის ფოთოლს დაასხით სპირტი ისე, რომ ფოთლები მთლიანად დაიფაროს. გააჩერეთ 6 დღის განმავლობაში, შემდეგ გადაწურეთ და დღეში ორჯერ შეიზილეთ ბამბის ტამპონით თმის ძირებში.

კანის მოსავლელად სასარგებლოა მჟაუნის ახალი ფესვებისგან დამზადებული ფაფა. ამ მასის დასამზადებლად საჭიროა ორი-სამი კოვზი მჟაუნის ფესვები ერთ ლიტრ წყალზე. მიღებული ფაფა გაიჩერეთ სახეზე 20 წუთის განმავლობაში და შემდეგ ჩამოიბანეთ.

ცხიმიანი თმის მოსავლელად საჭიროა ჭინჭრის გამოყენება. 100 გრამ ჭინჭარს უნდა დაასხათ 1 ლიტრი წყალი, ნახევარი ლიტრი ძმარი და ადუღოთ ნახევარი საათით. მიღებული ნაყენი გაწურეთ და აურიეთ 4-5 ლიტრ წყალში. თუკი ამ ნაყენით ჩამოიბანთ ცხიმიან თმას, საპონის გამოყენება აღარ დაგჭირდებათ.

ზაფხულის დადგომასთან ერთად ადამიანებს ოფლიანობა სულ უფრო აქტიურად აწუხებთ. ამ არასასიამოვნო სუნის მოსაცილებლად ეფექტურია დღეში ორჯერ თითო კოვზი სალბის ნაყენის დალევა. ხელებსა და ფეხებზე კი სასარგებლოა მანგანუმმჟავის, ჩაის ან მუხის ქერქის ნახარშის სუსტი ხსნარის აბაზანა. არანაკლებ სასარგებლოა გვირილის ან მრავალძარღვას ნაყენიც.

თუკი თავის ტკივილმა შეგაწუხათ და არ გინდათ მედიკამენტის მიღება, თავზე დაიდეთ კომბოსტოს ფოთოლი, გაიჩერეთ ერთი საათით და თავის ტკივილიც უკვალოდ გაქრება.

### გროგი

ეს ცხელი ალკოჰოლური სასმელია, რომელიც ასე მზადდება:

ქვაბში ჩაასხით ერთი ბოთლი წითელი ღვინო, 100 მილი ლიტრი არაყი, დაამატეთ 105 გრამი შაქარი, მწიკვი (ან პაწია ნატეხი) დარიჩინი, 10 ცალი მიხაკი, ნახევარი სუფრის კოვზი დაფქული კოჭა, 200-200 გრამი გატარებული ქიშმიში და ნუში. შედგით ცეცხლზე, შაქრის გადნობამდე გააჩერეთ, გადმოდგით, გააგრილეთ, ნახევარი საათი აცადეთ და მიირთვით, შემდგომ კი დალევის წინ შეათბეთ.

### ნუშის კანფეტები

დაკუწეთ ბლენდერში 100 გრამი ფინიკი, 100 გრამი გარგარის ჩირი (კურაგა), 70 გრამი ქიშმიში, დაამატეთ 2 სუფრის კოვზი ვაშლის წვენი. მიღებული მასისგან გააკეთეთ ალუბლისოდენა ბურთულები და მოხალულ დაკეპილ ნუშში ამოავლეთ.

### ორკბილა

ამ მცენარეს უმთავრესად მცირე ასაკის ბავშვებისთვის კანის დასაამებლად იყენებენ. ამ მცენარის აბაზანები მართლაც ეფექტურია თითო კანის ისეთი პრობლემების დროს, როგორიც არის გამონაყარი, გამოყელვა. ამგვარ ეფექტს მცენარე მასში შემავალ ზეთოვან ექსტრაქტს უნდა უმადლოდეს, რომელიც ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით გამოირჩევა და, ამავე დროს, ჭრილობის შეხორცებასაც უწყობს ხელს.

ორკბილას ნაყენი და ნახარში დასალევადაც შეიძლება გამოვიყენოთ. ცე ვიტამინის, მანგანუმისა და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტების წყალობით ეს მცენარე მადისმომგვრელ, სუსტ ოფლმდენ, შარდმდენ, ნაღველმდენ, დამამშვიდებელ ეფექტს ავლენს.

თუკი ორკბილას შეგროვებას თავად გადაწყვეტთ, გაითვალისწინეთ, რომ ეს მცენარე ყვავილობას ივნისიდან იწყებს, თუმცა მოსაკრეფად ვარგისი მხოლოდ სექტემბრის ბოლოსთვის ხდება.

მოამზადეთ ორკბილას ნაყენები და ნახარშები ასე:

1 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ბალახს დაასხით ერთი ჭიქა წყალი, ადუღეთ 15-20 წუთი, შეფუთეთ და დააყენეთ 2-3 საათი, შემდეგ გაფილტრეთ. მიაღებინეთ ამ ნაყენის აბაზანა იმ ბავშვებს, რომლებსაც კანის პრობლემები (დიათეზი, გამონაყარი, გამოყელვა) აწუხებთ, ალერგიულ მოზრდილებს კი შეუძლიათ, ნაყენი პირდაპირ დალიონ.

აბაზანისთვის ორკბილას ნაყენი ასეც მზადდება — 2 სუფრის კოვზს დაასხით 500 მილილიტრი მდუღარე წყალი, შეფუთეთ და 12 საათს დააყენეთ, შემდეგ გაფილტრეთ. ეფექტურია ბავშვის პრობლემური კანის მოსაშუშებლად. მოზრდილებსაც შეუძლიათ, მიიღონ ამ ნაყენის აბაზანა და გაიკეთონ საფენები ფურუნკულოზის, ფერიმჭამელების, მუწუკების, ეგზემის დროს.

3 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ მცენარეს დაასხით 1 ჭიქა წყალი, 15 წუთს ადუღეთ ნელ ცეცხლზე, გადმოდგით და ოთახის ტემპერატურამდე გააგრილეთ, შემდეგ გაფილტრეთ. ამ ნახარშით კარგია თავის დაბანა კანის სხვადასხვა დაავადების, ძირითადად სებორეის დროს.

აიღეთ 4 წილი ორკბილას ბალახი, 4 წილი მარწყვის ფოთოლი, 1 წილი კაკლის ფოთოლი და 2 წილი ჭინჭრის ფოთოლი. 2 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ნარევს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე და დააყენეთ. ამ ნაყენით შეგიძლიათ გაიკეთოთ საფენები ეგზემის დროს.

აიღეთ 10 გრამი ორკბილას ბალახი, 10 გრამი მარწყვის ფოთოლი და 100 გრამი გვირილის ყვავილი. 1 სუფრის კოვზ ნარევს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე. ამ ნაყენისგან საფენების გაკეთებაც შეიძლება და პერიოდულად ჩაის მსგავსად სმაც.

ძალიან სასარგებლოა ორკბილას სხვაგვარი ნაყენის აბაზანაც: 1 ჭიქა მუხის ქერქს დაასხით ერთი ლიტრი წყალი, როცა ადუღდება, დაამატეთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა ორკბილა და ასფურცელა. დააყენეთ 15 წუთს. აბაზანის მიღების შემდეგ კანი ცოტა ხანს არ შეიმშრალოთ — ნახარში ზედვე შეიშრეთ.

არ დაგავიწყდეთ, იმისათვის, რომ ორკბილა თქვენი ჯანმრთელობისთვის ეფექტური იყოს, აბაზანის მისაღებად ორკბილას ერთი ჭიქა ნაყენი 10 ლიტრ წყალში უნდა გააზავოთ.

**თიკო ნინიაშვილი**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მწირი, უნაყოფო ნიადაგი; 2. დაბა სიღნაღის რაიონში; 3. ხელით ნაქსოვი კედლის ხალიჩა; 4. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 5. ინგლისელი მწერალი ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 12. რაიონული ცენტრი იმერეთში; 14. „ბითლზის" ერთ-ერთი წევრი; 15. წყლის დიდი სივრცე, ოკეანის ნაწილი; 17. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული ამერიკის კონტინენტზე.

**თარაზულად:** 6. კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი შუა საუკუნეების აჭარაში; 7. სომალის დედაქალაქი; 8. ბუბა ხოტივარის მხატვრული ფილმი; 10. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემა; 11. „შაჰნამეს" ქართული ვერსია; 13. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 16. გამცემლობა, ორგულობა, ვერაგობა; 19. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 20. მოსამართლე ძველად საქართველოში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. ზოოფერმა; 6. კაპილარი; 8. პენსილვანია; 10. პალერმო; 11. მატე; 12. აზარტი; 14. ემალი; 17. ებანი; 19. ახალი; 20. ნონსენსი; 21. იორი; 22. პოლიპტიკა; 23. ლიტანია.

**შვეულად:** 1. კოლეგია; 2. აპერკოტი; 3. ერლიფტი; 5. ეპიგრაფი; 7. ანალიზი; 9. კამამბერი; 13. კიპრიდა; 15. მეხიკო; 16. პაროლი; 18. კრივი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. სატანა;. 2. აპრიორი; 3. აკინაკი; 4. „კარმენი"; 5. ოკარინა; 6. ახო; 7. ისარნა; 8. არსი; 9. კომეტა; 10. ოფელია; 11. ფა; 12. ლია; 13. საიგაკი; 14. აპრილი; 15. კარავი; 16. ილტოზა; 17. ლიე; 18. კიი; 19. ვანგა; 20. რუ; 21. ოდა; 22. ამარეტო; 23. ბია; 24. პაკეტი; 25. მანანა; 26. კაპუჩინო; 27. ნადი; 28. მია; 29. სირ; 30. ევერესტი; 31. მარინადი; 32. ლიმანი; 33. არომატი.

**სურათებზე:** ვანესა პარადი; ივან რაკიტიჩი.

# კოკო შანელი — ნაცისტების აგენტი?

მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალბატონის, კოკო შანელის რეპუტაცია კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. ამჯერად მიზეზად მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის ნაცისტურ გერმანიასთან შანელის თანამშრომლობის ცნობები იქცა.

მილიონობით ადამიანისათვის შანელის სახელი სტილს, სიმდიდრეს, თავშეკავებულ ელეგანტურობას უკავშირდება. მისმა მოდელებმა მოიცვა როგორც მხოლოდ ერთეულებისათვის ხელმისაწვდომი მაღალი მოდა, ასევე ყოველდღიური ტანსაცმელი.

მისი მიღწევები საყოველთაოდ არის აღიარებული. შანელის კაბებს მაშინვე ცნობენ. აშშ-ის პრეზიდენტის, ჯონ კენედის მკვლელობის დროს მის გვერდით მყოფ ჟაკლინ კენედის შანელის ვარდისფერი კოსტუმი ეცვა, ხოლო პატარა შავი კაბა, რომელიც მსახიობ ოდრი ჰეპბერნს ფილმში „საუზმე ტიფანისთან“ ეცვა, ელეგანტური უბრალოების სიმბოლოდ და ყველაზე ცნობად ტანისამოსად იქცა.




თუმცა, როგორც ირკვევა, გაბრიელ კოკო შანელის ისტორიაში არის ეპიზოდი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპირებულ საფრანგეთში მის საქმიანობას ეხება.

თავისი დროის სხვა ცნობილი მოღვაწეების, ედიტ პიაფის, მორის შევალიეს, ჟან კოკტოს და მომავალი პრეზიდენტის, ფრანსუა მიტერანის მსგავსად 1940 წელს გერმანიის ჯარების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ შანელი სამშობლოში დარჩა.

ომის დამთავრების შემდეგ კი გავრცელდა ცნობები ნაცისტებთან მისი კავშირის შესახებ.

ახალი წიგნის „საწოლში მტერთან“ ავტორი ჰალ ვოგანი ამბობს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს შანელი გერმანიის სამხედრო დაზვერვასთან მართლაც თანამშრომლობდა.

მისი თქმით, ოკუპირებულ პარიზში აგენტურული საქმიანობა ნორმა იყო.

შანელი შეუდარებელი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ყველაფერთან შეეძლო შეგუება. მას მხოლოდ თავისი საქმე სწამდა, ლამაზი კაბები და ამ მხრივ, აბსოლუტურად მართალი იყო. არ აინტერსებდა არც ჰიტლერი, არც პოლიტიკა და ნაციზმი.

ფუფუნებით ცნობილ “პარიზის რიცის“ სასტუმროში მაშინ მხოლოდ გერმანელებს შეეძლოთ ცხოვრება. შანელს, ვისაც პარიზში თავისი მაღაზიების დახურვა მოუხდა, გერმანელებთან მუდმივი კონტაქტი ჰქონდა.

ახალი ბრალდებები 44 წლის გერმანელ ოფიცერთან, ბარონ ჰანს გიუნტერ ფონ დინკლაგესთან რომანს ეხება. ვოგანის თქმით, ბიოგრაფები მას აღწერენ როგორც პლეიბოის, რომელსაც ჩოგბურთისა და ქალების მეტი არაფერი აინტერესებდა.

სინამდვილეში კი ბარონი დინკლაგე აბვერის, გერმანიის სამხედრო დაზვერვის პროფესიონალი თანამშრომელი იყო. საფრანგეთში იგი 1920-იანი წლების ბოლოდან მუშაობდა. ვოგანის თქმით, იგი მანიპულირებდა შანელით, შანელი კი — მისით.

სწორედ დინკლაგემ მოახერხა ის, რომ 57 წლის შანელი რიცის სასტუმროში დაბინავდა. სანაცვლოდ, აბვერმა შანელი აგენტი ეფ-7124-ის სახით დაიქირავა, კოდური სახელწოდებით „ვესტმინსტერი“, რადგან მისი მეორე საყვარელი ჰერცოგი იყო.

შანელმა გერმანიაში ტყვეთა ბანაკიდან თავისი ნათესავის ანდრე პალასის გათავისუფლება შეძლო.

გარდა ამისა, აბვერმა იგი მეტად სარფიანი პარფიუმერიული ბიზნესის კონგროლის პერსპექტივით მოხიბლა, რომლის ლიცენზიაც შანელმა 1924 წელს ებრაელებს, ძმებს ვერტჰაიმერებს გადასცა.

მართლაც, მან არიული საკუთრების დაბრუნების ნაცისტური კანონის ფარგლებში კომპანიის მფლობელობის განაცხადი წარადგინა და არ იცოდა, რომ ვერტჰაიმერებმა, რომლებიც იმ დროისათვის უკვე აშშ-ში, უსაფრთხო ადგილას იმყოფებოდნენ, თავიანთი კომპანია ქრისტიანს გადასცეს.

ბიოგრაფიული წიგნის, „კოკო შანელი: ლეგენდა და ცხოვრება“ ავტორი ჟიუსტინ პიკარდი აღიარებს, რომ „ვოგანის შრომა ომის დროს შანელის ცხოვრების უცნობ დეტალებს ჰფენს ნათელს, იმავდროულად, მას მიაჩნია, რომ შანელის მოტივები უფრო ფაქიზი და არაცალსახა“ შეიძლება ყოფილიყო.

ყველაფერი, რასაც აკეთებდა, პარადოქსული იყო. იგი წინააღმდეგობრივი პიროვნება იყო, თავს ანტისემიტური რემარკების უფლებას აძლევდა, იმავდროულად, მისი უმნიშვნელოვანესი კლიენტები ებრაელები (როტშილდები) იყვნენ. ებრაელი იყო მისი ბიზნეს-პარტნიორიც, რომელიც ომის დასრულების შემდეგად მისი ერთგული დარჩა, — ამბობს იგი.

მაინც რას აკეთებდა კოკო შანელი, როგორც აგენტი? მას შემდეგ რაც აცნობეს, რომ გერმანიაში, ტყვეთა ბანაკიდან მის ძმისწულს გაათავისუფლებდნენ, 1941 წელს გერმანიის ხელმძღვანელობის საგანგებო ნებართვით იგი მადრიდს გაემგზავრა, სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების მიზნით.

თუმცა, რამდენადაც ვოგანმა გამოარკვია, ამ ვიზიტის დროს შანელმა ერთ-ერთ ბრიტანელ დიპლომატს რამდენიმე უმნიშვნელო ფრაზით მიმართა. ამ უკანასკნელმა მოგვიანებით აღნიშნა: „გერმანელებს არ ესმით ფრანგებისა და ამიტომაც სძულთ ისინი, იმდენად, რომ შანელს ძალიან ეშინია იმისა, რა შეიძლება მოხდეს.“

ვოგანი დარწმუნებულია, შანელი ჯაშუში არასდროს ყოფილა. „ჯაშუშები დოკუმენტებს აგროვებენ, ფოტოებს იღებენ, შანელს ეს არასდროს გაუკეთებია, — ამბობს მწერალი, — იგი მათ მხოლოდ ეხმარებოდა, ესპანეთში მრავალი ნაცნობი ჰყავდა, ბრიტანეთის გავლენიან წრეებში ტრიალებდა და ნაცისტებს ეხმარებოდა“.

ომის დასრულების შემდეგ კოლაბორაციონიზმის ბრალდებების შიშით შანელი შვეიცარიაში გაიქცა, მაგრამ შეძლო სასამართლოს თავიდან აცილება. ვოგანს მიაჩნა, რომ შანელს სიტყვა თავად ჩერჩილმა შეაწია, ზოგი მიმომხილველი კი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის დახმარებაზე მიანიშნებს.

1954 პარიზში დაბრუნების შემდეგ შანელის ბიზნესი დააფინანსა სწორედ იმ ებრაელმა, ვისი საკუთრების ხელში ჩაგდებაც თავად შანელმა სცადა — პიერ ვერტჰაიმერმა.

კოკო შანელი 1971 წლის იანვარში, 87 წლის ასაკში პარიზში, რიცის სასტუმროში გულის შეტევით გარდაიცვალა.

## სამგლოვიარო განცხადებები

### გიორგი დევდარიანი



კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი პიროვნება გამოაკლდა ქვეყანას. გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის პროფესორი, გიორგი დევდარიანი.

ბატონი გიორგის მთელი ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო სამშობლოს, როგორ უნდა იღვაწო ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისთვის, რომლის სახელოვან ტრადიციებში საკუთარი წარუშლელი კვალიც დატოვო.

ბატონი გიორგი დაიბადა თბილისში, 1922 წლის 26 მაისს. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გაიწვიეს დიდ სამამულო ომში. იგი მონაწილეობდა იმ ისტორიულ სამხედრო აღლუმში, რომელიც 1941 წლის 7 ნოემბერს, მოსკოვში წითელ მოედანზე გაიმართა და საიდანაც ჯარისკაცები პირდაპირ ფრონტისკენ მიეშურებოდნენ. ვაჟკაცურად განვლილი საბრძოლო გზა არანაკლებ სახელოვანი ცხოვრებით განვლო. 1952 წელს წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტი, 1961 წელს კი მოსკოვის საზოგადო მეცნიერებათა აკადემია, სადაც დაიცვა დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

გიორგი დევდარიანმა წლების მანძილზე სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობისას გამოიჩინა ხელმძღვანელობის უნარი, საქმის ორგანიზაციის ნიჭი, მრავალმხრივი განათლება და დიდი ინტელექტი. ამიტომაც მოიპოვა კოლეგების სიყვარული და პატივისცემა.

1961 წლიდან მუშაობდა თბილისის ისტორიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სწავლულ მდივნად და განყოფილების გამგედ. ბატონი გიორგი, კეთილშობილი პიროვნება, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტი გახლდათ. მეცნიერების გარდა, თავისი ერუდიცია და პოეტური თვალთახედვა შესანიშნავად წარმოაჩინა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის” რუსულად თარგმნით. ბატონი გიორგი დიდ რისკზე წავიდა, როდესაც ამ პოემის მთარგმნელების: კ. ბალმონტის, გ. ცაგარელის, პ. პეტრენკოს, შ. ნუცუბიძის, ნ. ზაბოლოცკის შემდეგ, ქართველ ერს პოემის კიდევ ერთი შესანიშნავი თარგმანი დაუტოვა.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ პოემის თარგმნა ბატონმა გიორგიმ 1990 წელს დაიწყო, როდესაც საქართველო რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. სწორედ ამ დროს, თბილისის ომისა და აფხაზეთში საბრძოლო მოქმდებების პერიოდში, მან ქართველი ერის გამხნევება და რუსი ხალხისთვის უკვდავი ფასეულობების შეხსენება პოემის თარგმნით შეძლო. ეს არ გახლდათ მხოლოდ ლიტერატურული თარგმანი. ამით მსოფლიოს შევახსენეთ მდიდარი ქართული კულტურის მარადიულობა, რომელიც უმღერის სიყვარულს, მეგობრობას, ერთგულებას, კაცთმოყვარეობას, სამშობლოსათვის თავდადებას, სულიერ ამაღლებასა და მაღალ ზნეობას. სწორედ ამ გადადგმული ნაბიჯით ბატონი გიორგი თავისი ქვეყნის ჯარისკაციც იყო და სულიერი გაუტეხელობის სიმბოლოც.

გიორგი დევდარიანმა მთარგმნელობითი მოღვაწეობა 1985 წლიდან დაიწყო, როდესაც რუსულად ჯერ ნ. ბარათაშვილის „მერანი”, შემდგომ კი გალაკტიონის ლექსები თარგმნა. ამას მოჰყვა ლ. ასათიანის, ალ. აბაშელის, ტ. გრანელის, ი. აბაშიძის, მ. ქვლივიძისა და სხვა ცნობილ პოეტთა თარგმანებიც, რომლებშიც შენარჩუნებული იყო ავტორისეული სტილი და მაქსიმალურად გამოხატავდა დედანთან სიახლოვეს.

ჩვენგან წავიდა გულმხურვალე მამულიშვილი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და მაღალი ზნეობის უსპეტაკესი პიროვნება, ქართული ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, რომლის პიროვნებაში ორგანულად იყო შერწყმული ინტელექტუალური და მხატვრულ-შემოქმედებითი კულტურა. მისი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგების, მეგობრებისა და შესანიშნავი ოჯახის წევრთა ხსოვნაში.

დიდია მწუხარება, მაგრამ მისი შთამომავლობა ღირსეულად გააგრძელებს სახელოვანი წინაპრის ნაკვალევს, რითაც ბატონი გიორგის სახე მუდამ იცოცხლებს ჩვენ გვერდით. მის ახლობლებს კი ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ მისი სულისა და სასუფეველში ნათელი ადგილის დამკვიდრებისთვის.

*მეგობრები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## რა მოჰყვება ნატოს „კატასტროფულ წარმატებას“ ლიბიაში?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლებენ.

ლიბიის ლიდერმა მანამდე „ალ ჯაზირასთან“ სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ მის სახლს ტრიპოლიში ოპოზიციის შეიარაღებულმა მომხრეებმა შემოარტყეს ალყა. სატელეფონო კავშირი შეწყდა მაშინ, როდესაც კადაფიმ განაცხადა, რომ სროლა მის სახლს უახლოვდებოდა.

გავრცელებული ცნობების თანახმად, კადაფის ვაჟი და მემკვიდრე — სეიფ ალ-ისლამი დაცვასთან ერთად ტყვედ დანებდა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ჰააგის საერთაშორისო სასამართლოსათვის მისი გადაცემის შესახებ. პოლკოვნიკის მესამე ვაჟი, საად კადაფი, ასევე მეამბოხეთა ხელში მოხვდა.

„ალ ჯაზირას“ თანახმად, ლიბიის ლიდერისათვის პოლიტიკური თავშესაფრის შეთავაზების მზადყოფნა ანგოლამ და ზიმბაბვემ გამოთქვეს. ტელეარხის მონაცემებით, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ამ ქვეყნების ხელმძღვანელებთან.

თუმცა, სამხრეთ აფრიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნკოსაზანა დლამინი-ზუმამ უარყო ინფორმაცია, თითქოს სამხრეთ აფრიკამ ლიბიაში თვითმფრინავი გაგზავნა კადაფის გადასარჩენად. დიპლომატის თქმით, სამხრეთ აფრიკისათვის ცნობილია, რომ კადაფი მათ პოლიტიკურ თავშესაფარს არ სთხოვს.

იმავდროულად, მინისტრმა განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის რესუბლიკა, კადაფის რეჟიმის დაცემის შემთხვევაში მეამბოხეთა მთავრობას არ აღიარებს.

წარსულში გავრცელდა მოსაზრება, დამარცხების შემთხვევაში კადაფის ვენესუელაში წასვლის შესახებ. როგორც ცნობილია, ვენესუელის ლიდერი უგო ჩავესი კადაფის ახლო მეგობარია. მათ სამხედრო წარსული, მემარცხენე ეკონომიკური იდეები, აშშ-სთან დაძაბული ურთიერთობა და ოპეკში მათი ქვეყნების წევრობა აერთიანებთ.

დასავლეთის მედია იუწყება, რომ კადაფის რეჟიმის დაცემის შემდეგ ლიბიაში ქაოსი შეიძლება გამეფდეს. მისი თავიდან აცილების მიზნით ოპოზიციას ყოფილ მთავრობასთან თანამშრომლობა ესაჭიროება, გარდა ამისა, დასავლეთს სიტუაციის გაკონტროლების უფლება უნდა მისცენ.

ლიბიის მომავალთან დაკავშირებით დასავლეთში შეშფოთებას გამოხატავენ. „თაიმსმა“ ბენგაზიში მომუშავე ერთ-ერთი უცხოელი დიპლომატის სიტყვები მოიყვანა, რომელმაც სიტუაციას „კატასტროფული წარმატება“ უწოდა. — მაშინაც კი თუკი სიტუაცია კატასტროფაში არ გადაიზრდება, მას ქაოსი უნდა მოჰყვეს, რადგან ოპოზიცია ქვეყნის მართვისათვის მზად არ არის და კადაფის წასვლის შემდეგ ვაკუუმი დარჩება, — აცხადებს გაზეთი.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 23 აგვისტო**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "მიკი მაუსის კლუბი" **08.30** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **09.00** სათავგად. ფილმი **"ჰერაკლე"** **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 19.00, 20.00** მოამბე **12.30** საფეხბურთო მიმოხილვა **13.30** მეხსიერება **14.00** დოკ. ფილმი "რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" **15.00** სერიალი **"კრიმინალური სეზონი"** **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **17.30 ძიუდო**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები **21.00** სერიალი **"კრიმინალური სეზონი"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **22.40 ჩემპიონთა ლიგა**. პლეიოფი. გან. შეხვედრა (პირდ.) **00.40** მხ. ფილმი **"დიდი ღამე"** (გ) (ს. ტუჩი) **02.40** მოამბე **03.00** აუდიტორია **04.00** მხ. ფილმი **"ზარი 2"** (18)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00 ძიუდო**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები **20.25** მხ. ფილმი **"დაკარგული ისაია"** **01.00** მხ. ფილმი **"ალფი"** (18)

**08.00** კურიერი **08.30** ან. ფილმი "ტრანსფორმერები" **08.40** ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" **09.00** სერიალი **"კლუბი"** **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერიალი **"მიმნდობელი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სერ. **"მაშველები"** **13.30** ქართ. ფილმი **"შეხვედრა მთაში"** **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერიალი **"ავრორა"** **18.45** ამერიკის სასაცილო ვიდეოები **19.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **22.40 ჩემპიონთა ლიგა**. **00.40** ექსტრემალური შეჯიბრებები **01.40** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.50** ქრონიკა **09.15** ან ფილმი "სპანჯბობი" **09.40** სერ. **"ჰანა მონტანა"** **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.50** სერ. **"ფული და სექსი"** **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერიალი **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერიალი **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** ნანუკას შოუ **00.15** ფეის-კონტროლი ბათუმში **01.20** მხ. ფილმი **"ქალები"** (12) (მ. რაიანი) (სუბტ.) **03.40** მხ. ფილმი **"მაგნუმის ძალა"** (18) (კ. ისტვუდი) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00, 13.00, 19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **11.00** ანიმაცია "შეჰერაზადა" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ფანტაზიების კუნძული"** **14.30** სერიალი **"ტყუპები"** **15.30** იმედის ფსონი (პირდ.) **16.20** გადაცემა "გუნდი" **17.10** მხ. ფილმი **20.00** სერიალი **"ელიზა დი რივერმბროზა"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** "მზის სახლი" – საუკეთესო მომენტები **23.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერიალი **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.30** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **12.50, 19.35** სერიალი **"მოსკა და სმიტი"** **15.15** სერიალი **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** სახლი ბათუმში **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** "დიდ ხარ შენ უფალო" **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "რევაზ ინანიშვილი" **10.40** მოკ. ფილმი **"ბაკურხეველი ხევსური"** **11.00** გაცოცხლებული წარსული **11.30** ერთსულოვანი ოჯახი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** 1-ლი ს. **13.20** კონცერტი – ბრავო, მაესტრო **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.20** მხ. ფილმი **"ახალი არკადია"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.25** ირაო **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** მე-2ს. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** სადვთისმეტყველო საუბრები **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის კოლაჟი **01.30** კლასიკა – ვივალდი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**23 აგვისტო**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,655 |
| ევრო | 2,3691 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7259 |
| რუსული რუბლი | 0,0582 |

**ამინდის პროგნოზი 23 აგვისტოსთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 25-27, ღამით — 13-16

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 22-26, ღამით — 14-16

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 23-24, ღამით — 7-13




# რა მოჰყვება ნატოს „კატასტროფულ წარმატებას“ ლიბიაში?



ლიბიიდან გავრცელებული ცნობების თანახმად, ამბოხებულთა ჯარები ლიბიის დედაქალაქში წინსვლას აგრძელებენ და სულ უფრო და უფრო მეტ სამთავრობო ობიექტებს იკავებენ.

ბიბისის ინფორმაციით, მეამბოხეების კონტროლს ექვემდებარება ტრიპოლის ოთხი რაიონი. ღამით მეამბოხეებმა აეროპორტი და სახელმწიფო ტელევიზია დაიკავეს, რომელიც, მიუხედავად ამისა, მაუწყებლობას აგრძელებს.

ლიბიის ლიდერის ადგილსამყოფელი კვლავინდებურად უცნობია, თუმცა მრავალი ვერსია გამოითქვა. სააგენტო ფრანს პრესის თანახმად, კადაფი კვლავინდებურად სამთავრობო რეზიდენციაში, ბაბ-ალ-აზიზიას კომპლექსში იმყოფება.

ნატოს ავიაციის თავდასხმების შედეგად რეზიდენცია საგრძნობლად დაზიანდა, თუმცა, კადაფის განკარგულებაშია რამდენიმე ბუნკერი.

ცოტა ხნის წინ ლიბიის ლიდერმა განაცხადა, რომ ტრიპოლიში ბოლომდე დარჩებოდა და თავის მომხრეებს დედაქალაქის დაცვისაკენ მოუწოდა.

„ალ არაბიას“ ინფორმაციით, რეზიდენციის მახლობლად გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. თვითმხილველების თქმით, რეზიდენციის თავზე კვამლის შავი ბოლქვებია აღმართული, ორშაბათს დილით რეზიდენციიდან გამოსულმა ტანკებმა ტრიპოლის ცეცხლი გაუხსნეს.

ქალაქში შესული ამბოხებულები მთავარ გზაჯვარედინებზე ბლოკპოსტებს მართავენ.

კადაფის მთავრობას 65 ათასი ადამიანი იცავს, თუმცა, ზოგიერთი ქვეგანყოფილება ამბოხებულთა მხარეზე გადავიდა. მათ შორისაა სპეციალური ბატალიონი, რომელსაც ტრიპოლის უსაფრთხოება უნდა უზრუნველეყო.

დაუდასტურებელი ცნობების თანახმად, იარაღი დაყარა და მეამბოხეებს დანებდა აგრეთვე კადაფის დაცვაც.

ლიბიის ოპოზიციის ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ კადაფის უფროსი ვაჟისათვის, მუჰამედისათვის არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ მეამბოხეები მისი და მისი ოჯახის წევრების გადაადგილებას აკონტრო-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# სოხუმმა მეოთხე ლეგიონერი დაიმატა

**როგორც მოგეხსენებათ, საკალათბურთო კლუბი სოხუმი 4 და 10 ოქტომბრის ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო ეტაპზე „მინსკს“ დაუპირისპირდება და გამარჯვების შემთხვევაში ჯგუფურ ეტაპზე გადაინაცვლებს.**



გუნდი ამისთვის უცხოელებით აპირებს გაძლიერებას და უკვე მეოთხე შენაძენი გააკეთა — გრეგ სტიმსმა.

ნბა-ს ყოფილი კალათბურთელი, კლივლენდში მოთამაშე სტიმსი გასულ სეზონში ტურკ ტელეკომში თამაშობდა და მისი მონაგარი 6 ქულა, 4 მოხსნა და 2 ბლოკ შოტი იყო. სტატისტიკა მაინცდამაინც შთამბეჭდავი არ არის და ვნახოთ, რამდენად წარმოაჩენს თავს ამერიკელი ცენტრი „სოხუმში“.

რაც შეეხებათ მანამდე შეძენილ კალათბურთელებს: ბრენდონ გეი 20 აგვისტოს თბილისში ჩამოფრინდა. რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში ჩამოვა კიდევ ორი გამოცდილი ამერიკელი კალათბურთელი — ფრენკ რობინსონი და პიერ პირსი, რომლებმაც ერთი კვირის წინ „სოხუმთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი. ისინიც ამ კვირიდან შეუდგებიან ვარჯიშს „სოხუმის“ შემადგენლობაში.

საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ ვიცე-პრეზიდენტმა თემურ ჩილაჩავამ აღნიშნა, რომ „სოხუმის“ ფლობელი და პრეზიდენტი მინდია გულუა და გუნდის მთავარი მწვრთნელი აინარს ბაგატსკისი იმედოვნებენ, რომ ზემოაღნიშნული ამერიკელი კალათბურთელები შეძლებენ, აშკარად გააძლიერონ გუნდის თამაში.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ჯერარდ ბატლერი ხელქვეითებს ჩაგრავს



მსახიობ ჯერარდ ბატლერის კუთვნილი რესტორნის მზარეული და სხვა თანამშრომლები ვარსკვლავს სასამართლოში უჩივიან. ისინი აცხადებენ, რომ რესტორნის მფლობელი მათ ხელფასს არ უხდის. ბატლერთან ერთად პოპულარულ კორეულ რესტორან Shin -ის თანამფლობელები ასევე მსახიობები კრის მასტერსონი და ლაურა პრეპონი არიან. ლოს-ანჟელესის სასამართლომ სამივე მათგანს ბრალი წაუყენა იმაში, რომ ისინი მართლაც აიძულებდნენ თანამშრომლებს, ზედმეტად ემუშავათ, ნებას არ აძლევდნენ, შესვენებაზე გასულიყვნენ და ესადილათ, ამავე დროს, არ უხდიდნენ ხელფასს, რომელიც მათ ზედმეტი სამუშაოს შესრულებისთვის ეკუთვნოდათ. რესტორნის ყოფილი თანამშრომლები, ხელფასის გარდა, მფლობელებისაგან მორალური ზიანის ანაზღაურებასაც მოითხოვენ.

**ათბ-ნიუსი**

## ასტროპროგნოზი 23 აგვისტოსთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**ეს დღე მშვიდად გაატარეთ.**

**ვერძი** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ქალწული** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **სასწორი** — თქვენი საქმე წინ წავა, მთავარია არ იზარმაცოთ. **მორიელი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი გაამართლებს, არ გამოეთიშოთ საქმეს. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ვიტამინები. **მერწყული** — მეგობრებისგან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **თევზები** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი



***

— გვიან საღამოს ქმრის მომლოდინე ცოლი კედელზე ჩამოკიდებულ, სხვადასხვა ზომის ცომის საბრტყელებლებს ათვალიერებს. თითოეულ მათგანს წარწერა ამშვენებს: „შუაღამე“, „ღამის პირველი საათი“, „ღამის ორი საათი“...

***

— ცხოვრება ჭკუას მანამდე გვასწავლის, სანამ გაკვეთილიდან არ გამოგვიტანენ...

***

— ნუ გიხარია, თუკი ქალმა თავისი გულის გასაღები გიბოძა — ხვალ შეიძლება საკეტი გამოცვალოს...

***

წარწერა ავტისახელოსნოს კარზე:

— მუხრუჭების შემოწმება 3 დოლარი ღირს, დაკრძალვა — 300 დოლარი. დაფიქრდი და აწონ-დაწონე.

მეზობლად, წარწერა რიტუალური მომსახურების კანტორის კარზე:

— მუხრუჭებს ბევრჯერ გადაიხდი, დაკრძალვას კი ნათესავები გადაიხდიან, თანაც მხოლოდ ერთხელ. დაფიქრდი და აწონ-დაწონე

***

— ეს ჩემი საყვარელია, პირველი ქორწინებიდან...

***

— მაგას მგონი, თავის ტვინის ქერქიც დაზიანებული აქვს და მერქანიც...

***

— მე სულაც არა ვარ მსუქანი. ჩემი ქმარი ამბობს, რომ იდეალური ფიგურა მაქვს.

— ანა, შენი ქმარი ხომ მათემატიკოსია, მისთვის იდეალური ფიგურა სფეროა...

**გ. თ.**

## ერკვევით თუ არა ადამიანებში? ტესტი



***1. ნორმალური წონის ასი ქალიდან რამდენს ჰგონია, რომ ძალიან სქელია?***

ა. ხუთს. ბ. ორმოცდაათს.

***2. სიმპათიური მამაკაცი გულგრილად დგას ბარის დახლთან.***

ა. იცის, რომ ქალები მასზე გიჟდებიან. ბ. დარწმუნებული არ არის საკუთარ თავში.

***3. თანამოსაუბრე ცოტას ტყუის. თვალებში გიყურებთ, როდესაც***

ა. იტყუება. ბ. სიმართლეს ლაპარაკობს.

***4. ქალი და მამაკაცი ათი წუთის განმავლობაში ერთად იმყოფებიან ექიმის მისაღებში, შემდეგ საუბარს იწყებენ. პირველი ვინ დაიწყებს ლაპარაკს:***

ა. მამაკაცი. ბ. ქალი.

***5. თქვენი ახალი ნაცნობი ერთად გატარებული საღამოს შემდეგ ტელეფონით დარეკვას გპირდებათ, მაგრამ არ დაგირეკათ, რადგან:***

ა. ტელეფონის ნომერი დაეკარგა. ბ. არ დააინტერესეთ.

***6. თქვენი პარტნიორი ვერ ახერხებს მენიუში კერძის შერჩევას. მიზეზი?***

ა. გურმანია. ბ. საერთოდ უჭირს გადაწყვეტილების მიღება.

***7. კაფეში მამაკაცს გამოელაპარაკეთ, მას კი თავი ცოტა ცივად უჭირავს. მიზეზი?***

ა. ცოტა მორცხვია. ბ. მისი სიტყვებისა არ გჯერათ, რადგან ჟესტები საპირისპიროს მეტყველებს.

***8. თვითმფრინავში ქალსა და მამაკაცს შორის მოხვდით. რომელი დაგითმობთ სკამის საერთო სახელურს.***

ა. მამაკაცი. ბ. ქალი.

***9. ერთი მამაკაცი კერძში მარილს გემოს გაუსინჯავად ყრის, მეორე — გასინჯვის შემდეგ. რომელთან უფრო ადვილია ურთიერთობა.***

ა. მეორესთან. ბ. პირველთან.

**პასუხები**

**პასუხები შეაფასეთ ა — 0 ქულა. ბ. — 1 ქულა.**

**0-3 ქულა:** მეტად მიმნდობი ხართ და მხოლოდ იმას ხედავთ, რისი დანახვაც გსურთ.

**4-6 ქულა:** ადამიანების იდეალიზირება გჩვევიათ, პირველ შთაბეჭდილებას თქვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

**7-9 ქულა:** საკმაოდ კარგად ერკვევით ადამიანებში, საქციელის მიხედვით აფასებთ მათ.

**გ. თ.**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მაროკოს დედაქალაქი; 2. ისტორიული სამთავრო სამცხე-ჯავახეთში; 3. ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 4. მარცვლეულის, ფქვილეულის ვაჭარი ძველად; 5. ზღვის ფირუზისფერი ბალახი; 8. სასადილო-სავაჭრო ძველად; 9. ცხენოსნობის მასწავლებელი; 12. თაღლითი ბანქოს თამაშში; 14. თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 16. საშობაო სიმღერა.

**თარაზულად:** 1. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილების გამოსაზრდელი მოწყობილობა; 9. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი; 11. რაიონული ცენტრი იმერეთში; 13. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 15. „ფორმულა-1“-ში მონაწილე პოლონელი ავტომრბოლელი; 17. მხატვრული კონსტრუირება; 18. მაღალხარისხოვანი პერგამენტის ქაღალდი; 19. ფრანგული საიუველირო ფირმა; 20. ფრანგი კომედიოგრაფი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**



ლურჯი წითელი ყვითელი შავი